

729

1973



# חברת האמנות בשנת 1973



1973

2

საქართველოს თეოლოგიური საზოგადოების

# მოამბე

№ 2 (72)

მარტი—აპრილი

18.000

ქ. მარკუსის ს.ბ. ს.პ. სსიპ  
სახელმწიფო რ.ს.ს.ს.ს.ს.  
პ.ბ. ლომიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

საერთაშორისო კონგრესის შესახებ დრად	3
თეატრის საერთაშორისო დღე	4

**რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან**

აღექსანდრე გვენაძე — თელავის თეატრის ერთი სეზონი	5
ნათელა არველიძე — ქუთაისის თეატრის ოთხი სპექტაკლი	7

**გულახდელი საუბარი**

ვახტანგ ქართველიშვილი — ავაბოს დონეიხოტობა	11
საქართველოს თეატრალური საზოგადოებაში	15

**ღვწევისმოსილთა ბახხინება**

მირა ფინჩაძე — დიმიტრი არაყიშვილი	14
გიორგი ჭავჭავაძე — „სვედია“	16
შალვა მარკოზაშვილი — სანდრო ამბეტელი თელავში	19
კოტე ნინიაშვილი — ორი საღამო მოსკოვში	21
ნიკოლოზ კვეციანი — დიდი მსახიობის ცოცხალი სახე	23
მაცვალა ცხომარია — გზა შორს მიმავალი, არ დაღუპულა	24
ლელი კახანაძე — მდიდრდება თეატრალური მუზეუმის ფონდება	25
მარგო თომაძე — მარტის თოვლი	27
მიხეილ გიფიშვილი — დიქტორის ჩაცმულობისათვის	27
გენო კალანდია — „სიმწიფის ქაბი მოსკოვში“	30

**სახალხო თეატრის სცენაზე**

ნუნუ გომართელი — სახალხო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალის შედეგები	31
სტეფანე მხარგრძელი — მსახიობი (ლექსი)	33
გურამ ბათიაშვილი — ტურისტის თვალით	34
ნანა ლეონიძე — ქართველი მსახიობები სარდუს პეესებში	39
გივი ჭაოშვილი — ზაქარია ჭიჭინაძის ერთი უცნობი წერალი	43
ლ. სოლომონი — ტრადიციის გამდიდრება	45

**ი შ მ რ ი**

მ. ტოდორიძე — საიდუმლო მღვდელი	46
ს. ვ. ია — განცხადება: თეატრალური ლექსიკონი	46

**რედაქტორი—ირემია ქარელიშვილი**

**პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი**

**სარედაქციო**

**კოლეგია:**

3. გომიზაშვილი, 5. გურაბანიძე, 6. გუნია, 7. ებაძე,  
8. იაპაშვილი, 9. კიკნაძე, 10. ლომთათიძე, 11. ლომთაძე-ნანიძე,  
12. მამალიძე, 13. შლანტი, 14. შვანგირაძე, 15. ჩხეიძე,  
16. ციციშვილი, 17. ხუციშვილი, 18. ჯანალიძე.

## საერთაშორისო კონგრესის შესახებ რად

**მოსკოვში** გაიმართება თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის კონგრესი. იმის თაობაზე თუ როგორ მიმდინარეობს მზადება თეატრალური ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ვერაღ. ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრის აღმასკომის წევრს, სსრკ სახალხო არტისტს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას თავმჯდომარეს **დ. ანთიმის**.

### — რას იტყვი ამ ინსტიტუტის შესახებ?

— თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი პროგრესული ორგანიზაციაა, იგი აერთიანებს მსოფლიოს მოწინავე ერების თეატრალურ მოღვაწეთ. სადღესოდ ამ ინსტიტუტის წევრები არიან 57 სახელმწიფოს ის თეატრალური ორგანიზაციები, რომლებიც პროგრესულ მიზნებს ისახავენ. ამ ინსტიტუტის ცენტრი არსებობს პარიზში. ამ ქალაქშივეა ინსტიტუტის თეატრი, რომელიც ერების თეატრის სახელითაა ცნობილი. ინსტიტუტის ონიატივიით ყოველ 27 მარტს აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე. ამ დღიდან, ე. ი. მარტიდან ივლისამდე ერების თეატრი თავის სცენაზე იწვევს ხოლმე მსოფლიოს საუკეთესო თეატრებს. ერებს თეატრის მოწვევით პარიზის მყურებელს თავისი სპექტაკლები სხვადასხვა დროს წარმოუდგენს საბჭოთა თეატრებში, ამ მოწვევები იყენებენ მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო თეატრი, სსრკ მცირე თეატრი, ვახტანგოვს თეატრი, ლენინგრადის დიდი აკადემიური დრამატული თეატრი, ლენინგრადის პუშკინის თეატრი და სხვა.

წლებადელი თეატრის საერთაშორისო დღე საერთაშორისო ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრმა წარმოართა დიდი რუსა დრამატურის ნ. ოსტროვსკის შემოქმედებისადმი პატივისცემის ნაშინით, რადგან წელს შესრულდა 150 წელი ნ. ოსტროვსკის დაბადებიდან. ამ ბრწყინვალე დრამატურმა ხომ უდიდესი როლი შეასრულა რუსული და საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

### — რა მიზნებს ემსახურება თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი?

— თავად განსაუთ. თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის დევიზია „თეატრი როგორც ურთიერთგაცემისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საშუალება“. ეს მეტად კეთილშობილური დევიზია, რომელიც საესებით შეე-

სატყვისება საბჭოთა თეატრის ჰუმანურ იდეალებს. ამ იდეალებისადმი ერთგულება კი ინსტიტუტმა მათიოდ გამოავლინა წინა კონგრესებზე. 1967 წელს ეს კონგრესი ჩატარა ნიუ-იორკში, 1969 წელს — ბუდაპეშტში. 1971 წელს — ლონდონში, ხოლო მიმდინარე წელს იგი მოსკოვში ჩატარდება.

### — როგორ იმუშავებს კონგრესი?

— როგორც ხედავთ, კონგრესს იწვევენ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. წელს იგი გაიხსნება 27 მაისს, იმუშავებს 6 დღეს. კონგრესის დროს იმუშავებს ცალკეული კომისიები: 1. თანამედროვე თეატრი; 2. თეატრი და ახალგაზრდობა; 3. მუსიკალური თეატრი დღეს; 4. „შე-სამე; სამყაროს“ თეატრი (თეატრის განვითარების გზები აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში).

კონგრესი ტარდება დევიზით „პროგრესული თეატრის როლი თანამედროვე საზოგადოებაში“.

სსრკ კულტურის მინისტრის ამხ. ე. ფურცევას ბრძანებით შემქნილია კონგრესის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრკ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კ. გორონკოვი. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კულტურის მინისტრები, თეატრალური საზოგადოებათა თავმჯდომარეები, სახელგანთქმული მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, თეატრმცოდნეები და სხვანი.

ამასწინათ გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა კონგრესისათვის მზადების საკითხები, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უფრო საინტერესოს გახდის ამ საერთაშორისო მნიშვნელობის თეატრალური მოვლენას.

### — როგორ იქნება წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკა კონგრესზე?

— ჩვენ უკვე შევედევით მზადებას. ჩვენი რესპუბლიკიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი, მაგრამ უმთავრესი სამუშაო ჩვენ მანკ კონგრესის დამთავრების შემდეგ მოკვიწვებს — უკვე გადაწყვეტილია, რომ კონგრესის დამთავრების შემდეგ უცხოელი სტუმრები ეწვევიან ლენინგრადს, კიევს, თბილისს, ერევანს, ტამპერესს, სამარცუნდსა და ბუხარას. როგორც ხედავთ, ერთი ჯგუფი თბილისსაც ეწ-





ვევა. ეს კი გვაგვალბებს, რომ მომზადებული შეეხვედეთ ჩვენი სტუმრებს.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს მზადება?

— კონგრესის უცხოელ დელეგატებს მაქსიმალურად უნდა გავაცნოთ საქართველოს უძველესი თეატრალური წარსული, გავაცნოთ ჩვენი ისტორიული ძეგლები, ქართველი საბჭოთა ხალხის მიღწევები კულტურასა თუ ეკონომიკაში. დედაქალაქის თეატრები ამ დღეებში სტუმრებს წარმოუდგენენ თავიანთ საუკეთესო სპექ-

ტაკლებს, რათა თვალნათლივ დაინახონ თანამედროვე ქართული თეატრის აქტიური თუ რეჟისორული დონე.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე გამოყოფილია საორგანიზაციო კომიტეტი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონგრესის დელეგატთა სტუმრობას კარგად გამოვიყენებთ, ვაჩვენებთ მათ ქართული საბჭოთა ხელოვნების ჰუმანური პრინციპებს, მის ნამდვილ დონეს. ეს იქნება საბჭოური ხელოვნების ჰუმანური იდეების საუკეთესო პრობავანდა.

## თეატრის საერთაშორისო დღე

**მიმდინარე** წელს მეთორმეტეჯერ აღინიშნა თეატრის საერთაშორისო დღე. ამ ტრადიციული თარიღის მიზანია მსოფლიოს ხალხებმა თეატრალური ხელოვნების საშუალებით იბრძოლონ მშვედობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამჯერად ეს მნიშვნელოვანი თარიღი მიემდგინა დიდი რუსი დრამატურგის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავს.

26 მარტს აკაკი ხორავას სახ. მსახიობის სახლში შეიკრიბნენ დედაქალაქის თელსაჩინო მოღვაწენი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრკ სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

— ალექსანდრე ოსტროვსკის ცხოვრება და მისი დრამატურგია ქართულ სცენაზე, — ამ თემას მიუძღვნა თავისი მოხსენება ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დოცენტმა

ნადია შალუტაშვილმა. მოგონებით გამოვიდა სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო სცენები გრაზოდოვის სახელობის სახ. თეატრის სპექტაკლიდან „უმზოთივო“, მოზარდ-მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლიდან „შინაურები ვარა, მოვრავდები“ და თელავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „უღანაშულო დამნაშავენი“.

ალექსანდრე ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა ლექციების ციკლი თემაზე: „ალექსანდრე ოსტროვსკის ცხოვრება და მისი დრამატურგია ქართულ სცენაზე“.

ლექციები წაითხულ იქნა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის და სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კოლექტივებში.

## თელავის თეატრის პიტი სეზონი

ალექსანდრე გვინცაძე

**როცა** თელავის თეატრზე გვიხდება წერა, არ შეიძლება დავივიწყოთ ამ ქალაქის თეატრალურია წარსული. სათანადო წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ მე-18 საუკუნის 80-იან წლებში თელავში პროფესიული დრამატული დასი მოღვაწეობდა. ამას თავისი პირობა ჰქონდა — გამოჩენილ მხედართმთავარს, მეფე ერეკლე მეორეს ამ პერიოდში უმეტესად თელავში უხდებოდა ცხოვრება; სამეფო კარის მოხელეთა ფართო წრე, საქართველოს კეთილებიდან, აგრეთვე სხვა ქვეყნებიდანაც ეკონომიური, პოლიტიკური, დიპლომატიური ურთიერთობასათვის სტუმრობა მოითხოვდა, რომ თელავის სასახლეში მათთვის მხატვრულ-ესთეტიკური საზრდოც ყოფილიყო. ამ პერიოდში თელავში სემინარიაც არსებობდა (1782-1801 წწ.).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თელავში 80-იან წლებამდე წარმოადგენდნენ ხოლმე თეატრალურ სანახაობებს. დანამდვილებით კი სემინარიის დაარსებასთან მჭიდროდა დაკავშირებული თელავში თეატრის არსებობა. თელავს სემინარიამო მოქმედი წესდება, რომელიც მისმა პირველმა რექტორმა ვაიოხმა შეიმუშავა, სემინარისტებს ნებას რთავდა ეკრანში ერთხელ დასწრებოდნენ „კომედიას ან სხვა რაიმე საინო თამაშობათა“ (ტრაფონ რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია 1949, გვ. 111).

აჩაა გამოირჩეული, რომ თელავის სემინარიამო ისწავლებოდა თეატრალური ხელოვნების თეორიაც. ამავე მიგვაწინშებს მაშინდელი ზოგადი წერილობითი ძეგლი (ამბერკი გაჩეჩილაძე, „მითერამეტე საუკუნის იშვიათ ხელნაწერთა კრებული“, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, ტ. I, 1947 წ., გვ. 31).

თელავში პროფესიული დრამატული თეატრის დაბადების თარიღად აღიარებულ უნდა იქნას 1782 წელი.

თელავის თეატრი არსებობის 200 წლისთავს უახლოვდება.

თელავის სემინარია 1801 წელს გაუქმდა. მე-19 საუკუნის მანძილზე დროდადრო დასტურდება თელავში თეატრალური დასის მოღვაწეობა. 60-70-იანი წლების პრესაში გვხვდება ცნობები, რომ თელავში გატარებული მიმდინარეობდა სასცენო ცხოვრება. ალექსანდრე ქავჭავაძის რძალმა, დავითის მეუღლემ, ანა მუხრანბა-

ტონის ქალმა იმპერატორისაგან გამოითხოვა განხეთის ყოფილი სამეფოს სასახლის შენობა და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი გახსნა. ამ სასწავლებლის გარშემო თავს იყრიდა ინტელიგენციის გარკვეული წრე. ერთხანს უსახსრობის გამო სასწავლებელი (პანსიონატი-თერთ) საფრთხეში ჩავარდა, მაგრამ დრამატული დასის ქველმოქმედებამ იხსნა მისი ბედი. შემდეგშიც სხვადასხვა დრამატულ დასებს სათანადო ადგილი ეკავა ამ პატარა, სამაზრო ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში (ყოტე აჯიამ-მუღოვის დასი, პოეტ სოლო გომაძის სახალხო თეატრალური დასი და სხვ.).

სრულიად ახალი ხანა დაიწყო თელავის თეატრის ისტორიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სულ მალე თეატრს სახელმწიფო ბიუჯეტი დაენიშნა, მიიღო საკუთარი შენობა (1924 წ.), შედგა საკმაოდ ძლიერა დასი და სხვ.

ახლა თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის (დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პლატონ ახვლედიანი) კოლექტივი ერთი ძლიერთაგანა რესპუბლიკაში.

თელავის დრამატული თეატრის ისტორიაში 1972—1973 წლის სეზონი შეევა როგორც საუბილიო თარიღისადმი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სეზონი.

სეზონის ერთ-ერთ წარმატებად უნდა ჩაითვალოს „თეთრას“ (გ. ბერიაშვილის ორმოქმედებანი დრამა) დადგმა. საბჭოთა მშრომელი ქალის ყოველმხრივ ნაშინდობილი სახე წარმართავს დრამის შინაარსს. ქალის მოვალეობა იყახისა და საზოგადოების წინაშე უშუალოდ განასახიერა მსახიობმა ოლგა შუბრაძემ, რომელმაც არ დაზოგა გამოცდილება და უნარი პატიოსანი, მშრომელი და მებრძოლი ქალის დასახატავად.

სპექტაკლში განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა თეთრას დედამილის, 80 წლის თებროს როლი, რომელიც განასახიერა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა თინათინ ბურბუთაშვილმა. მსახიობმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მან თელავის თეატრში შექმნა თავისი მიმზიდველი და საამაყო შემოქმედებითი ბოგორაფია. სპექტაკლის წარმატება დამაჯერებლადაა უზრუნველყოფილი მთელი



კოლექტივის მიერ. მონაწილეობენ: მსახიობები: ელდარ თავდიღიშვილი (გულადა), ლიერ ავაშვილი (ლელა), რუსუდან თინყაშვილი (ბაია), შოთა ბეჟანიშვილი (ლეთოსო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ალექსი კუბატაძე (ნიკალა), გიორგი მამფრეშვილი (შაქრია), ბეგლარ მარტაშვილი (ავამეთა).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს გურამ მაკცხონაშვილს, მხატვრობა — დავით ბალარჯიშვილს.

ორმხრივი საუბილუო სპექტაკლის დანაწესდება აქვს ცნობილი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის „უღანაშაული დამნაშავენი“ დადგმა, რომელიც მიქიტანა როგორც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, აგრეთვე მისი ავტორის დაბადების 150 წლისთავს.

ა. ოსტროვსკის „უღანაშაული დამნაშავენი“ სხვა დროსაც დადგმულა თელავის თეატრის სცენაზე, მაგრამ მიმდინარე სეზონში მისი ჩვენება მიზანდასახული იყო, — როგორც რუსული კლასიკის ჩვენება. სპექტაკლი მყურებელმა დიდი მოწონებით მიიღო. 1973 წლის 26 მარტს თბილისში, ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თელავის თეატრმა წარმოადგინა პეისის პირველი მოქმედება.

მიმდინარე სეზონში სპექტაკლში როლები განასახიბეს: საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ვახტანგ ჩელთოსპარეჯიამ (დუღუქანი), თინათინ ბურბუთაშვილმა (კრუჩინინა), ალექსი კუბატაძემ (შმაგა), ზლატონ ახვლედიანმა (მუროვი), ბიძინა ჭავჭავაძემ (ივანე), ვლადიმერ მარკოზაშვილმა (სტუმარი), ორბა აღნაშვილმა (ნენსამოვი), ართო გეჭეშვილმა (გალჩხა), ვაჩო მანველოვმა (მილოვზოროვი), ეთერ მუმლაურმა, შოთა ბეჟანიშვილმა, კარლო ქაბთეულიშვილმა (სტუმრები).

დადგმა და მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს გურამ მაკცხონაშვილს, მხატვრია — დავით ბალარჯიშვილი.

სეზონის პრემიერა ლეე მობროფაროვის „მკვლელობა სადგურზე“ (ვადიმოქართულებული ალ. ჩხაიძის მიერ). სპექტაკლი დადგა ნოდარ დიქსაძემ, მხატვრობა ეკუთვნის დავით ბალარჯიშვილს, მუსიკალური მონტაჟი ალექსანდრე წერეთელს, ქორეოგრაფიული ნაწილი — შაქრო მურველიშვილს.

საუბილუო სეზონის ერთ-ერთი ძლიერა სპექტაკლია ბაიკაფივის „დუელი“. დრამის შეიძლება ფილოსოფიური ენოიდის თემის გახსნა და სცენური განსახიერების თვალსაზრისით. ქალის ბედი თითქმის ყოველთვის აღსაქვია მოთლოდნელობებითა და მრავალი საფრთხით; არაა გამორიცხული წინდაუხედავი და საბედისწერო შეცდომებით გამოწვეული ტრაგიზმიც და სხვ.

დრამის მსვლელობას დამატულად მიჰყვება ყურებელი, რომელიც გარკვეულ პასუხებს პოულობს საყოფაცხოვრებო მოვლენებზე.

სპექტაკლი დამატურბლად და მიმზიდველად ხორცშესხმული გახადეს ახალგაზრდა, ნიჟერმა პროფესიული განათლების მქონე მსახიობებმა: ელდარ თავდიღიშვილმა (ისკანდერი), ეენერა ფეჭორაშვილმა (ნანა) და თემურ ხენაშვილმა (ახ-ზი).

„დუელი“ დადგა და მხატვრულად გააფორმა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვ. მაკცხონაშვილმა.

ეს სპექტაკლი წარდგენილია დადი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელობა პრემიაზე.

დიდ მოწონებას იმსახურებს ვ. ნახუცარიშვილის „ჩინკაქა“, რომლის დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლეო პაქაშვილმა; მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს ირაკლი ხეროშვილს; მუსიკალური მონტაჟი — გიორ არაყიშვილს; ქორეოგრაფია ნანა გაგოაძე.

ხალხური ზღაპრების მოტყუებზე შექმნილი ორმოქმედბიანი კომედია კარგად გვიჩვენებს კეთილსა და ბოროტს დაპირისპირებას. — რომ ბოროტება განწირულია, რომ კეთილი იმარჯვებს.

მყურებელმა განაკეთებუი მოზარდმა თობამ, კომედიის აღმზრველობითი მოტივი მთელი სისრულით აპოკენს და ატყეკს. საშუალო სკოლების მოწაფეები და პუდაგოგები კოლექტიურად ესწრებიან სპექტაკლს და შემდეგ თეატრს კოლექტივთან შეხვედრაზე განხილვენ კომედიას და სპექტაკლის ღირსება-ნაყოფიანებებს.

სპექტაკლის სიმპიის ცენტრი ვ. ახვლედიანს ეყრდნობა. გამოცდილმა მსახიობმა უნაყოფ შეასრულა დევის როლი. მის გარშემო შეხმატბალებულია მთელი ანსამბლის თამაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე მთავარი როლი — ქინკაქას სახე, რომელიც ახალგაზრდული ტუმპურამენტით წარმოადგინა მსახიობმა თ. ხენაშვილმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ვ. ჩელთოსპარეული (დათვი), ბ. ჭავჭავაძე (ვეზირი), ვ. მარკოზაშვილი (პირველი შუბოსანი), ვ. ფეჭორაშვილი (გულა), ე. მუმლაური (შხა), თ. მახსიბაძე (მგელი), რ. ბუჭყორაშვილი (ტუარი), თ. მანველოვი (რევი), ე. შაბალაშვილი (მხუთენახავი) ა. მახარაშვილი (ქოსა), შ. გეგაიძე (შუბოსანი).

მიმდინარე სეზონში თელავის თეატრის სცენაზე საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიო კლასიკამ, — წარმოდგენილი იქნა კარლ გოლდონის



„სასტუმროს დიასახლისი“ (კომედია თარგმნილია ი. გრაიშვილის მიერ).

რეჟისორმა ნოდარ დვინაძემ და მხატვარმა ი. ხუროშვილმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მიმზადებული სპექტაკლი შეექმნათ. მათ წინა პლანზე წამოსწიეს კომედიის პროგრესული იდეები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ჩვენი თანამედროვეობის სასოშიათაც. ასეთმა მიმართულებამ უზრუნველყო სპექტაკლის უდავოდ დამახებრებელი წარმატება, რასაც ხელს უწყობს მსახიობთა მიერ გამოჩენილი პასუხისმგებლობა და გულსჩხვიერება; სპექტაკლში მონაწილეობენ: საქართველოს სსრ დამახებრებელი არტისტები: გ. პაპოშვილი (გრადი ალმაფიორატა), ვ. მარკოზაშვილი (მსახურა კავალერა), მსახიობები: ვ. ფეიქროშვილი (მირანდოლინა), ო. აღნაშვილი (რიპაფერატა), რ. ბუქუყრაშვილი (მარკოზაშვილი), ნ. არაგვიანი (პორტუზა), ე. მუმლაური (დაენერა), თემურ ხენაშვილი (ფაბრიციო).

გასული სეზონიდან დადგებიდან სამი სპექტაკლი იდგმება მამლინარე სეზონში.

თელაველმა მყურებელმა თავიდანვე კარგად მიიღო გ. ქარჩხაძის „ობობა“ (პიესა ორ მოქმედებაზე). დადგმა ეკუთვნის ლ. პაქსაშვილს; მხატვრობა — ა. რატანს, მუსიკალური მონტაჟი — ი. არაგვიანი.

პიესაში მსებები, მაგრამ მკვეთრი ჰუმორით მხალბებულა ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები.

როლებს მალღ დონეზე ასრულებენ: თ. ბურბუთაშვილი (ქენია), გ. მამუჩაშვილი (კაცია), გ. პაპოშვილი (ყაყი), ვ. მარკოზაშვილი (ოფიცანიტი), ე. თავდად-შვილი (გერმოგენი), გ. მანველოვი (ბოჩინა), ნ. არაგვიანი (საველი), კ. ხუროშვილი (მილიციელი).

წარმატებით იდგმება თამაზ ჭალაძის „სურათები საოცარო ალბომიდან“. დადგმულია გ. სეზინკერაძე, მხატვარი — დ. ბალარაშვილი, მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის გ. დუდუჩავას. სპექტაკლში მონაწილეობენ: გ. მამუჩაშვილი

(გიორგი სიხარულიძე), თ. ბურბუთაშვილი (ნესტანი), გ. პაპოშვილი (ბესალაში), რ. თინიკაშვილი (სალომე), ნ. არაგვიანი (მარკო), ე. თავილიშვილი (გურამი), გ. მანველოვი (ბაღრა), ო. აღნაშვილი (გაიოზა), ო. შუბათიძე (ელასაბედი), რ. ბუქუყრაშვილი (პოლიცი), ე. მუმლაური (ნუციო).

1973 წლის მარტის ბოლომდე გ. ბერაშვილის „ბროწეულს ცეცხლი ეკიდება“ (კომედია ორ ნაწილად) დაიდგა 170-ჯერ. კომედიის დადგმა განასახიერა ლ. პაქსაშვილმა; მხატვარია — დ. ბალარაშვილი, მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის ი. არაგვიანს.

სპექტაკლისადმი შეუნელებელი ყურადღება უზრუნველყო კომედიის შინაარსობლივება ხასიათი და მსახიობთა მალღმა შემსრულებლობითა ოსტატობამ. აღდგნილ სპექტაკლში როლებს ასრულებენ: ვ. ჩელითაშვილი (ხარება), თ. ბურბუთაშვილი (ნაზო), ბ. მარტაშვილი (ცბულა), ე. თავილიშვილი (იზაკი), ო. აღნაშვილი (ლევანი), ვ. ფეიქროშვილი (ლალი), ა. მახარაშვილი (სანდალა), დ. სხარტაძე (გეგა), ე. ავაზაშვილი (თებრო), ო. შუბათიძე (ველიტა).

მიმდინარე სეზონის ბოლომდე თელაველი მყურებელი ნახავს შალერის „ვერაგობა და სიყვარულს“, ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და ა. მაკაიონიკის — „ტრიბუნალს“.

თელავის თეატრს ამჟამად თავის მომსახურებას საკმაოდ ვრცელი ობიექტი აქვს — იგი გასვლით სპექტაკლებს მართავს კახეთის რაიონებში.

ამჟამად არსებული შენობა ოდნავადაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ახლა თელავის ცენტრში შენდება თეატრის ახალი შენობა. ეს ოქმება ქალაქის ერთ-ერთი დიდი და უღამაზესი ნაგებობა, — თანამედროვე არქიტექტურის ყველა საკუთი დავილოვებულა. თეატრის კოლექტივი თავის მყურებელბთან ერთად მალღ იზიიობებს ახალ სცენაზე გამოსვლას.

## ჭიათურის თეატრის ოთხი სპექტაკლი

### ნათელა არველაძე

თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითი ცხოვრების ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ მისი ხელოვნების ძირფესვიანი შესწავლით. მკვლევარი უნდა გაერკვეს იმ რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესებში, რომლითაც გადატარებულია თეატრის ყოველი დღე... ამჟერად აკავი წერეთლის სახელობის ტიათრის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის შე-

სახზე გენდა გამოთქვით რამდენიმე მოსახერბა. შესაძლებლობა მოგვეცა გეხზლა ოთხი სპექტაკლი ამ თეატრის სცენაზე.

ოთხი დღე... ოთხი სპექტაკლი... შემოქმედებით კოლექტივთან ოთხი შეხვედრა... ეს მინც საყმარისია, რომ გარკვეული შთაბეჭდილება შეიქმნას...





**დღე პირველი.** თ. ჭიაბარძის „მეკლეობა“.

დადგმა ს. ყიფშიძისა, მხატვარი გ. მღებრიანი-ლი. სცენაზე არიან ჩვენი თანამედროვენი თან-ვიანთი ტყვილითა და მიზნებით. გასაგები და ახლობელი მისწრაფებები, დღეფარავი სიმართლე და მეცარი, მამხილებლური ტონი — ასეთი თვისებებით ხასიათდება თ. ჭიაბარძის პიესა. სცენური ცხოვრებაც მხატვრულ სახიერებასთან სწორედ ამ თვისებათა შეზავებას ითხოვს.

სცენაზე ბინის ჩვეულებრივი მოწყობილობაა. ისეთივე ტიპური მაგონა და სავარძლები, ისეთივე განლაგება, როგორსაც ცხოვრებაში ვხვდებით. ამ მხრივ მწერლის ხედვის თავიანთებურება ამოკითხული იქნა სწორად. მაგრამ ეს ზომ საქმარისი არ არის მხატვრული სიმართლის შესაქმნელად. სცენური სახიერება?! შექმნილ გარემოში, ყოველ ნივთზე, რკეივტიში, კიდევ უფრო მეტად უნდა ჩანდეს ბინადართა სულთერა სამყარო ვიდრე ეს სპექტაკლშია. ლანგარში უხვად „ჩატენილმა“ ვარდების თავივლმა გვამცნო, რომ საღამაზოს, მშენებლების შექმნისა და შეგობების უნარს მოკლებულნი არანა ოჯახის წევრები. ასეთი სახიერი ნიუანსების სუბზე უდაოდ გაზრდიდა შემოქმედებითი კოლექტივის აზროვნების ხარისხსა და სიღრმეს. ასეთ გარემოში უფრო ჩაიქსოვებოდა მოქმედ პირთა ხასიათები, მათი ურთიერთობები. მსახიობები ცდილობენ მაქსიმალური სიზუსტით გვაჩვენონ მონომხდარი ფაქტის სიმამრე. ისინი თავშეკავებულად, ზომიერი ვნებათაღელვებით გადმოსცემენ ერთი ოჯახის ისტორიას, მაგრამ იქნებ სწორედ ის „ამოვარდნიბა“, დაბმული შეჯახებები, თავშეუკავებელი გაბრძობლება უფრო მეტად გამოკვეთდა თითოეული გმირის შინაგან სამყაროს, მომხდარ კატასტროფას. დიან, პიესაში ყოველი მათგანი და ბევრის ფილოსოფია კარახს განიცდის. სწორედ ეს პროცესი უნდა გადმოვეყთ სცენური სახიერების შექმნით. საინტერესო რეჟისორული მიგნებაა გაიოხას — (ნ. ჩაჩანიძე) გასვლა სასტუმრო ოთახიდან. სინათლის სხივი ანათებს კარს, რომელშიც შემოვიდა გაიოხი და იგივე სხივი აცოლებს მარტოდაჩინილ სტუმარს. თავდაჯერებული გაიოხი— ნ. ჩაჩანიძე უყანასკნელად გადახედავს ოჯახის წევრებს. დევილი მარტო სტოვებს ოთახს. ასეა ჩაფიქრებული სპექტაკლის ფინალი. მაგრამ ხომ უნდა შემზადებულიყო მთელი ეპიზოდის განმავლობაში ასეთი დასასრული? მთელი სისასვით ვერ შეიგრძნობა ხასიათების ფსიქოლოგიური სიღრმე, შინაგანი ნიუანსების აღმოჩენა და დახვეწა. მხატვრული სახიერების ძიება კიდევ უფრო მეტად გამოკვეთდა შემოქმედებითი კოლექტივის მოქალაქეობრივი პოზიციას გაიოხთა საქმანობის წინააღმდეგ.

**დღე მეორე.** ი. კაკულია. „განკუთხელობა“.

დადგმა ი. მაცხოვრებლისა, მხატვარი — ჩუაშვილი. დრამა მთელითა ცხოვრებდან ვაკასენებს ალ. ყაზბეგის „მამის მეკლეს“. პიესის ავტორს სურს აბოპქრებული ვნებათაღელვის, მოთოკავი გრძნობის დამღუბებული ძალა გვიჩვენოს — ასეა ჩაფიქრებული სპექტაკლიც. სისთავად პრობლემა აქტუალურია თანამედროვე სამყაროსათვის. გრძნობასა და გონების ჭადლი აი უკვე რამდენი საუქუნეა. ხელოვანთა მსკელობის ობიექტა. ჩვენს აზრით, პიესა ნაწილობრივ მოკლებულია რთულსა და შინაგანი ჭიდილით აღსავსე სატუტაეებს, ფილოსოფიურ სიღრმეს. ჩვენ ხომ მეტრსმეტად ვანუაგრებულნი ვართ ალუდასა და მინდიას მასშტაბურა ხასიათებით, ვაქსეული გმირების სამარაფანო საფიქრალითა და საკაცობრიო წუხილით: მწერალი სიმართლითა და მწვევი კონფლიქტებით აღსავსე მთიელთა ცხოვრების ყაზბეგისეული აღწერით. შეიძლება ამ შთაბეჭდილებათა ფონზე განაპირობა ისიც, რომ გულშეზრცელი მოგვეჩვენა ავტორის ფილოსოფია და ხასიათები.

გიგასის ხასიათი პიესაში იცვლება მოვლენების განვითარების შესაბამისად (რაც დრამატული ხელოვნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს). მაგრამ მის საქციელთა მიზნებს უფრო ღრმა ანალოზი და მეტო წედომის უნარი იყო საჭირო. მაშინ გიგას ტრაგედია უფრო მეტ სიმამრით აიქმებოდა. ვერც დაშვებულმა კოლექტივმა გაართვა თავი ამ სირთულეს. სად, როდის, რის გამო მოხდა გიგასი შინაგანი ძვრა და მოინანია დანაშაული? ჩვენს აზრით თანამედროვე დრამისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა სწორედ ამ პროცესის ასანა, ანალოზი და სცენაზე სახიერად გადატანა. პიესაში და სპექტაკლშიც გიგასს საქციელთა მიზნი ამოუცნობია, ზოლო ვარდაქმნის პროცესი კლუსებში უნდა ვივარადეთო. დრამატულ თეატრში კი ყოველი მნიშვნელოვანი ცვლილება გმირის შინაგან სამყაროში, მის ფსიქოლოგიაში, განცდებში, თვალნათლივ უნდა იყოს ნაჩვენებო. (ეს აქსიომაა და მტკიცებისათვის ავტორიტეტთა ნააზრვეს აღარ მოვიშველიებთ)

ვიფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა პიროვნებისა და თემის (საზოგადოების) ჭადლის როგორი ასპექტით ანახავდა ჩვენი თანამედროვე ადამიანი. ხევისბერის ნაცვლად მსჯავრდებულ გამოჰყავს ავტორს. შეიძლება ვიფიქრობთ, რომ ამგვარი სვლით მას სურდა გამოეხატა — ასეთი ტრაგედია ყველგან შეიძლება მოხდეს. სადაც აზვირთებულ ვნებას ვერ მოთოკავს პიროვნება. ასეთი პოზიცია სხვაგვარ სიმამრებს ითხოვს და აზრთა ისეთ დინებას, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემს პიროვნების შინაგან-

ნი სისტემისა და ძლიერების სამარადევმო კი-  
დელს.

საქეტიკოს ავტორებმა „ვაკაციკლუს“ ან-  
ტიუტრი თეატრის ნაწილი — ქორო. ამჟამად  
ქოროს აუცილებლობისა და მისთვის კონკრეტ-  
ული ფუნქციის მინიჭებას პრიციპულ საკითხს  
არ შეეხებოთ (იგი ცალკე მჭკლობლს საგანს  
წარმოადგენს), მხოლოდ აღენიშნათ უფრო გა-  
მოკვეთილად, ლოგოურად უნდა ეთარღებოდეს  
საქეტიკოსში გვიან მზღებელთა ან მზეხას მე-  
გობართა ან მზეხას დასჯის მონაწილეთა მიზ-  
ნები. განა უმჯობესი არ იქნებოდა პარველ  
სცენაში უსახო მასის ნაცვლად გვეხილა სისხლს  
მოწყურებულა, ამხედრებულა, მრავალა ინდი-  
ვიდისაგან შემდგარი ბზო, რომელსაც მსხვერ-  
პლოს დასჯის ენი ახრჩობს. მათ ხომ დააწ-  
ყაში გვიანს მონაწიების მოსმენაც კი არ  
სურთ. ეს უნდა იყოს გონდაქარგული, ვენ-  
ბააშლილი ადამიანებისაგან შემდგარი ნადირთა  
კრებული, რომელთაც მსხვერპლს დათმობა  
უბრძოლველად არ ძალუძთ, თუ ასეთი ლოგი-  
კით ამოუხსნით მთაველთა საქციელს (ქოროს,  
როგორც მას ავტორელთა უწოდებენ), მაშინ გი-  
გას მონაწიებაც უფრო მნიშვნელოვანი ვახდე-  
ბოდა და თვით მოვლენაც უფრო მეტ მასშტაბს  
შეიძენდა. ამავე ლოგიკით შეიძლება დრეობის  
ეპაზოდის ამოხსნაც, რაც განვითარებას პოეზი-  
და ფინალურ სცენაში. ვფიქრობთ ამით კიდევ  
უფრო გამოკვეთებოდა აზროვნების დინამიკა  
და კიდევ უფრო მეტ სიღრმეს შეიძენდა საქე-  
ტიკოსი. მაშინ ბუნებრივად დაბადებოდა გა-  
მომახველობითი საშუალებებიც და საჭირო არ  
იქნებოდა მთელთა ფუნდისათვის (ქოროსათ-  
ვის) მექანიკური, ერთდრული მოძრაობისა და  
შეფასების ძიებასათვის დაგვეთმო ამდენი დრო.

თეატრი გაიტაცა სანახაობათა მხარემ, ხოლო  
შინაგანი რთული პროცესები, მახვილა აზრის  
შეუნელებელი დინება კი მთელის ძალით ვერ  
შეიქმნა სცენაზე.

მახანსცენების სახიერება მეტად საინტერე-  
სოა, ფერწერულ ტილოს მოგვაგონებს, პარვე-  
ლი მოქმედების ფინალი: ზემო დანადგარზე,  
თოქოს მთის ბუდეს შეეკლებიანო, ძალაგა-  
მოცილოდა მზეხა დგას, მის ფერხითი ჩამოხა-  
დარან ქალიშვილები, მწარე ხვედრს დასტი-  
რან ერთად.

II მოქმედება. ქალიშვილები მთის თაფნება  
ნიავივით ჩამოუქროლებენ გუშავად მდგარ ვა-  
ყებს. გაომართება დრეობა. ჩამწკრივდებიან ორ-  
რიგად, ვაყები ღვინოს დაეწაფებიან, სიღვირს  
რიტმს აწყვებიან ქალები. მარდად, თავშეუკავე-  
ბელი სიცილით სცვლიან ერთმანეთს და უცხე-  
ბენ ფილიტს ვაყებს. და ბოლოს ამ გაშმაგე-  
ბულსა და ფრთაშლილ ენებსა შეზარხონებუ-

ლი მამაკაცების ავისმომტანი თვალსაზრისით  
ურთოდება...

საქეტიკოსის ფინალი: მოედანი დაცარიელდა.  
ორი მსხვერპლია დარჩა მხოლოდ. სინათლის  
სხივი ანათებს მზეხას (ი. ჯიშკარიანი) და გვიან  
(ნ. ჩაჩანიძე), ზემოთ სოფლებზე დაატრეს  
მზეხა. ქვეით მარტო და მიუსაფარი, საყუთარი  
ხანგლით განვითარული გვიან გვია. ნელა იხუ-  
რება ფარდა, გაყინულ სცენაზე კვლავიღებუ-  
რად ორი გვიანა მხოლოდ. სინათლის სხივი  
ძლიერად ანათებს მსხვერპლს... რეჟისორი ას-  
რულებს საქეტიკოსს — სისხლის წარუშლიელა  
კვალ სდევს გრძნობამორეულ პროვოცებს.

დასანანი, რომ ასეთი სახიერი მიზანსცენები  
მოქმედ პირთა სტუდია ქაილიას პროცესებს  
ამოხსნის შედეგად არ იბადება. მართალია, ამ  
მხრე რეჟისორსა და მსახიობს ლიტერატურე-  
ლი მასალა ხელს არ უწყობს, მაგრამ არჩევანი  
მზხდა და თეატრს მაქსიმალური ძიება სწორედ  
ამ მხრე უნდა წარემართა. განსაკუთრებით და-  
სახეწეწა მზეხასა და გვიანს ღამის სცენა, სადაც  
გვიან საბოლოოდ გამოთქვდა ქალს სიყვარულ-  
ში. აქ მთელი სისასითი, რთული ფსიქოლოგიუ-  
რი ნუანსების აღმოჩენით უნდა განვითარებუ-  
ლიყო დამუშაველი გრძნობის თარეში ადამ-  
ნის სულში. ასევე უნდა გამოკვეთოს ვეფხიას  
სახე (ა. სუფრომაძე). საქეტიკოსი სეზონის და-  
საწყისში დადგმა და გერ კიდევ შეიძლება გა-  
რძელდეს მასზე მეტობა.

**ლე მისაძე.** გ. ნახუტაშვილის „ალი-ბაბა“.

დადგმა — ო. ალექსიშვილისა, მხატვარი —  
დ. თავაძე, ზღაპარი-პიესა მრავლად შეიცავს  
შეგონებას ადამიანისა თუ მმართველისა და  
ხალხს ინტერესებსა გათავის შესახებ.

რეჟისორმა გამოიყენა ჩვენი საუფუნის ოციან  
წლებში ერთი მეტად გახმაურებული დადგმის  
მხატვრული ხერხი. მსახიობები იქვე მაცურბ-  
ლის თვალწინ თანამედროვე სამოედლებს ხას-  
ათასათვის დამახასიათებელ რამე დაეტალს ჩა-  
მოცემულ და ასე გადაიქცევა ა. ბარათაშვილი  
მურვან ყრულ, ნ. ჩაჩანიძე ალი-ბაბად, ი. ჯიშ-  
კარიანი მირჩანად და სხვა. ასეთი ხერხი თა-  
ვისთავად უბიძგებს მსახიობებს, რომ გამოკვე-  
თილად გვიჩვენონ თავიანთი მოქალაქეობრივი  
დამოკიდებულება იმ სიტუაციებისა და გზირე-  
ბის მიმართ, რომლებსაც ქმნიან. ვფიქრობთ,  
სწორედ ასეთი დამოკიდებულება პერსონაჟები-  
სადმი კიდევ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო  
მოციმული საქეტიკოსში. ამტომაც თანამედრო-  
ვე აქტენტები შესუსტებულა ამ თანამედროვე  
ზღაპარში. მსახიობებიც ერთფეროვნად, მხოლოდ  
ერთი საღებავით ქმნიან სახეს, რაც მნიშვნე-  
ლოვნად აღარაბებს წარმოდგენის მხატვრულ  
ღონეს (განსაკუთრებით ასეთი ცალმხრივი მი-

დგომით ხასიათდება ა. მოსაშვილის და ლ. თავისი ფაშა ხანუმა, ი. ბიჭიანი სინდბადი)

ზღაპარს ხომ თავისი მომზიბლავი სურნელი ახლავს. ჰაეროვანი, ეფემერული მამზიდველობა უბირველესად კოსტუმებსა და იმ დეტალებში უნდა შეიცნობოდეს, რომლებსაც მსახიობები ხასიათის დაკონკრეტებისათვის ხმარობენ. ვფიქრობთ, რომ ფერთა შეხამება, კოსტუმების გადამწყვეტა და დეკორაცია ჰარმონიულ ერთობაში არ აღიქმება. (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიჩრანისა და ფაშა ხანუმის კოსტუმები. პირველი მოკლებულია პოეტურ სიმსუბუქეს, მეორე ზომიერ სიმკაცრეს). სექტაცილი უკვე მესამე სეზონია, რაც თეატრის რეპერტუარში და ამიტომაც „დღეშილია“ ოდნავ. იქნებ თავდაპირველად უფრო ანსამბლური იყო იგი...

**ლუ მითხი.** ა. პარონიანის კომედია „ძია ბაღდასარი“. დადგმა — ს. ყოფშიძისა, მხატვარი — ვაჟა ღონღოლაძე.

ფერთა სახეიმი გამა, იუმორით აღსავსე მელოდია და ღლატი, სიკრუე, მოსყიდვა და უმეცრება, როგორ არ შეეფერება ეს ორა სიამაღელი ერთმანეთს! თეთი ამ კონტრასტში კი ადვილად იციხება საზოგადოებრივი განშტოება — ერთის მხრივ ბაღდასარი და მეორეს მხრივ — სხვები...

სექტაცილის მამხილებლური ტონი ყოველ დეტალში იჩენს თავს. განსაკუთრებით მზანსცენარსა სახიერებაში და ა. ბარათაშვილის შესრულებაში.

სახიერია სექტაცილის დასაწყისი — მრგვალ მაგიდასთან ზის გაოგნებული ბაღდასარი — ბარათაშვილი, ბავშვური გულუბრყვილობით, გამწვანებით უზიარებს ქაღალდას და მყუერებულს მეუღლის მიმართ ბრალდებას. იქვე კი, აყენის ერთ კუთხეში ბაღდასარის მეუღლე ანუში — ც. გოქაძე და ბაღდასარის ამგობარი ქიბარი — ა. სოფროსაძე სცოდნენ. ამ მზანსცენით ჩატახალი ბარათაშვილის მონოლოგი. მოქმედებათ საბუთდება ბაღდასარის ბრალდება... ასეთი დასაწყისი ტონს აძლევს მოლოანად სექტაცილს და პარონიანის კომედიას ტრაგედიკომედიურ შეფერავებას უქმნის. აგრეთვე სახიერად არის გადამწყვეტილი „სასამართლო“ სცენა. მოსამართლე სურია — ნ. ქაშუაძე გულმოდგინედ გადაათვალიერებს მომიჯანთა მიერ გამოგზავნილ კონვერტებს. დაყნოსავს კვდეც და მათ „სიმძიმის“ (ფულის რაოდენობით) მიხედვით გადააწყობს. მთელი ეს პროცესი შეორდება მსაჯულთა შორისაც. (ლ. ზვედლოძე და ა. ბაქრაძე). ასე დაწყობილია: „გადასინძული“, „ამოხსნილი“ საქმე „მშველლობაში“ გადაიყვანა — იწყება დაკითხვა, გამოკითხვა. მთელი ეპიზოდი მიმდინარეობს კომედიისათვის დამახასიათებელ

მსუბუქ რიტმში, მაგრამ მკაცრი და დღობელია მსახიობების მიერ მათი გმირების კრიტიკა.

სექტაცილის წარმატებისათვის მანც ვადამწყვეტია აქტიორთა ანსამბლი. ჩვენი მიერ განხილული წარმოდგენებიდან „ძია ბაღდასარი“ სწორედ ანსამბლურობით ხასიათდება. ეს თეატრის უმთავრესია თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა ა. ბარათაშვილის მიერ შექმნილი ბაღდასარის სახე. ერთი შეხედვით გულბრყვილი და მიმწდობი ადამიანი სიტუაციის გამაფრებამთან ერთად მიუყარებელი და კატეგორიულიც კი ხდება. ასეთი ადამიანის გატეხვა შეიძლება, მოდრეკე კი არა. მისი ბაღდასარი ჭკვიანი, გონებაგახსნილია — ეს უმთავრესია მსახიობის შესრულებაში. ფაქზი, დახეწილი და ზომიერია ბარათაშვილის გამომსახველობითი სამუშაოებში... გაოგნებული ბაღდასარი ებეზე ჩაჯდა, გაქვავებულ სხეს ღამილი გადაეფარა და ჩაფიქრებულმა მოკლედ სთქვა: „ყოჩაღ ქიბარი“. ამ ერთ ფრაზაში, ერთ მოძრაობაში მსახიობმა ჩაქსოვა ბაღდასარის შიშვანი ტრაგედიის სირთულე, ანუშის მიერ დახლართული ინტრიგის ქსელის მთელი გამაც გამოინდა და გამოუვალი სიტუაციის სიმძიმეც გვაგრძნობინა. და მანც დიდი იუმორი და აღტაცება იყო აღნიშნული ამ სიტუებში. ასეთი წუთებისათვის მოდის მყუერებული თეატრში, რომ წინასწარ დადგენილი შტამის სანაცვლოდ სრულად მოულოდნელი სიტუაციით გამართლებული სცენური ცხოვრება იხილოს. ასეთი სახიერი ნიუანსებით, მოულოდნელი სელებით არის ამოხსნილი სექტაცილი და მთავარი გმარის სახე...

ქიათურის თეატრის რეპერტუარი უფაოდ მრავალფეროვანია. თანამედროვეობაც, ჩვენი ერის წარსულიც, ზღაპარიც, მოქმე ხალხთა ცხოვრების ასახვაც. სარეპერტუარო პოლიტიკა სწორი და საინტერესო ნაკადით მიედინება. მხოლოდ უფრო მეტად უნდა გამოიყვიოს შემოქმედებითი კოლექტივის მოქალაქეობრივი პოზიცია, რაც თანამედროვე თეატრისათვის გადამწყვეტია თითქმის. მეტად მომგებიანია თეატრის წამყვანი ბირთვის სცენური მონაცემები. მათ მღიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც გაანიათ. დასში 11 დამახებრებული არტისტია, ამიტომაც უფრო ბევრს ვითხოვთ მათგან.

რა თქმა უნდა, ჩვენი მოსახრებანი თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების შეახება არ შეიძლება ამომშურავე იყოს. რამდენიმე სექტაცილით არ შეიძლება ექუმოტანული დასკვნის გაკეთება თეატრის პროფილზე. ჩვენი აღნიშნული მხოლოდ ის უმთავრესია ხელშესახები თეატრები, რაც კი გვენიშნა ოთხი საღამოს განმავლობაში.





# აგაბოს ღონისძივობა

ზახსტანზ ქართველიზვილი

(ო. იოსელიანის „სანამ ურემი ბადაბრუნდება“ კივილი თეატრის სცენაზე).

ბარდლომეს წაავაგეს. ერთი შეხედვით, რა შეიძლება საერთო ჰქონდეს აგაბო ბოგვერაძეს, ლამინელთან? მწუხარე სახის რანდის ფიქრები და ზრახვები მისთვის მართლაც ხომ შორეულია თუნდაც იმიტომ, რომ წუთისოფლის სტუმრობა რამდენიმე საუკუნის დაგვიანებით ინება და ესპანურს ქართული მიწის ნაშვირება ამჟონინა. ამ სპექტაკლში „კლასიკურ იდალგოს“ არც გარეგნულად ჩამოავს ეს ძველძსხვილი და მკერივად შეკრული მოხუცი. ამ სპექტაკლში აგაბო იბრძვის, მაგრამ სულაც არ ებრძვის ქარს წინკველეს. არცერთ დღესკენაში არ გასცვლის თავის კესარისას. კარზე კი აბა სანთოდ სად გამოდგება? და მინც...თუმცა, ამაზე შემიდგომ...

ჯერ კი — ეს—ესაა გაიხსნა ფარდა. ისმას ყველასათვის ნანდობი „მყუდრო“ მელოდია, რომელსაც ყოველდღე გადმოსცემს ცენტრალური ტელეხედვა ამინდის პროგნოზირებისას. ეს მელოდია ყოველდღიურობის მონოტონურ განმარტებაში ჩავერთავს და გვაშვილებს. ბუნებაში ყველაფერი რაგზეა. მოხდება ხოლმე, ბუნებაც აჯანყდება, მაგრამ მინც ბუნებაში თადარიგია ოლითგან. განმგებელს დაუწყესებია: ჩრდილოეთში ყინვა მქვიწვარებს, სამხრეთს — მზე ეძალუბა. გეოგრაფულ მუარდინებზე წესრავი სუფევს. ბატონებო, ბუნებაში წერბივი სუფევს! — ასე იწყება ლესია უკრაინკას სახელობის კრევის აკადემიური თეატრის სპექტაკლი — ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ასე იწყება და ასევე მთავრდება. მაგრამ ფინალში განმორებული მუსიკალური ფრაზა მარტო კომპოზიციურად როდი ჰკრავს სპექტაკლს, მაყურებლის განცდაში ახალ ტონსაც ამოატეხტივებს. იგი ვეღარ დაგვამშვიდებს ამიერიდან. სულ რაღაც ორიაღდე საათის მანძილზე ისეთი კონფლიქტისა და სულიერ წყვეტებათა მოწამე ვახვდით, რომ ბუნების განზომილი რიტმის ანალოგიას ვეღარ გადმოვიტანთ ადამიანთა ურთიერთობაში... „სულის მერიდიანებზე“ სულ სხვა ქარბუქი ტრავლებს. აქ ყოველივეს კოხვის ნიშანი დაურთივებს — თადარიგია? სიმშვიდე?

თადარიგი რომ იყოს, უკვე პიესის სათაურშივე ქართული ანდაზის გამახვილებით რამა-

ტურგი აღარ გავაფერტხილებდა. — სანამ ურემი გადაბრუნდება, გზას მანამ მიხედვით, საქმეს დროულად მოუარეთო. ეგ მოსავეული კი მარტო ქართველებს რომ გვექონდეს, პიესა მხოლოდ ერთი ერისათვის საკიბობროტო საყითხებს რომ ეკრინებოდეს, სცენურ სიცოცხლეს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ალბათ, ვერც მოიპოვებდა. დაბეჭთებით, ო. იოსელიანის პიესა — ეროვნულ წიაღში ზოგადს ამოკითხვა, პიესის მთავარი გმირი — განსახიერება მიწის შეზრდილი ადამიანის სიბრძნისა და მხნეობისა, სულა სიმღიდრისა და დოვლათისა. ჩვენმა ეროვნულმა „ურემმა“ ამტომავე გაუსწრო ბევრ ულტრათანამედროვე „თეატრალურ ტრანსპორტს“ და, თუ არ ვცდები, ჩვენი ქვეყნის ორმოცდაათამდე სცენას ჩამოუარა. ხოლო ის ფაქტი, რომ კიეველებმა თავისი „ქართული წარმოდგენის“ ვასამართავად მოიწვიეს ქართული სლადგმო ჯგუფი (რეჟისორი კოტე სტრამვა, მხატვარი მამია მალაზონია, კომპოზიტორი ითარ თაქთაქიშვილი), თავისთავად ნიშნეულია და მრავლისმთქმელი. აქ შემდგომ განვითარებას ჰპოვებს თანამედროვე თეატრალურ სიტუაციაში უკვე დანერგილი ჩვენთვის საეულასხმო პრაქტიკა, როცა ქართული დრამატურგის ექსპორტს საკუთოვე ქართული საცენო ხელოვნების ექსპორტც ერთვის.

მაშ ასე, — გაიხსნა ფარდა და იმ მელოდიის თანხლებით მოგვანჩრდა სპექტაკლის ხატი — იმერული ოდა-სახლი, ხილეულის, წიწკიასი და ზავრანას ასხმა-წნელებით შემოკრდული, იფინზე ჩამორტეხული გოგრბით, თინის ქოხნებისა და ჯამ-ქურქების მთელი კოლექციით. ოდის წინ — ქვევრი. გამრჭე კაცის ხელით აქ ყველაფერი ადგილზეა და ამ სურნელოვან „კოლხურ ნატურმოტს“ მბრუნავი სცენა სხვადასხვა რაკურსით გვაწონებს. რომელ კომფორტბეული ქალაქური ბინა შეედრება მიწის მაღლით ვალაღებულ ამ ფუტეს, მოკალათ ჭორკოზე ვაზრდილი აგაბო და შესთავაზეთ ახლა შეზღონგი. ჩვენი მზერა შემდეგ თითქმის დავით კაკაბაძის ტილოებიდან წამომდგარ პეიზაჟს სწვდება სცენის სიღრმეში. მაგრამ მზირულ ფერთა ღრეობას აქ მგლოვიარე შავი ხეები შემოსწრებინ. შეე ლაქებს ამოტეხივ-



რაც ჩიტის თვალსაწიერადან დალანდული შემოგარენი, — სუსხი მოსდგომა მიწას, სატყვიარი გასჩენია. და ის, არც ავაბოს კარ-მიღამოს ახლო კვრეტის არც შეიმჩნეოდა, საცნაური გახდა შორს ვასვლით, როცა სოფლას მთლიანად ხედი წარმოგვადგა. მაშა მალაზონანას სცენოგრაფია თანამედროვე სოფლის, უფრო უკეთ, წუთისთავის ორმაღ დისტანციამ გლოზადლური ხილავა. მიერო და მაქრო სამყარო აქ ერთფეროშია პროექტირებული და იძლევა სპექტაკლის კემშარბიტ სახეს, ზუსტად მიგვანიშნებს სპექტაკლის პრობლემატიკაზე.

კიეველთა სპექტაკლი — პრობლემებით დატვირთული წარმოდგენა. რეჟისორი კოტე სურმავე გაარღვევს დრამატურგიული პარტიტურის კომედიურ ფენას და პიესის სიღრმეებიდან მძლავრად ამოზიდავს ტრაგიკულ პლასტას, კომედიურ სიტუაციებს ფილოსოფიური განსჯის საბაბად აქცევს, როცა ავაბო შვალელებთან თავისი გარდაცვალების დეპეშას გზავნის, ეს თავის თავად კომედიური ექატრა. მაგრამ როგორ მოხდა, რომ მხოლოდ ამ საშუალებით თუ ჩამოიყვან ქალაქად წასულთ, მხოლოდ სატრაღედო. თუ მოუყრა მათ თავის როგორ მოხდა, რომ მასში, ავაბოში, შაპის შაპაც ცოცხლობს, შვილებს კი ცოცხალი მშობლიანთისაც ვეღარ მოუტლიათ? ნუთუ თანამედროვე ცხოვრების რიტმი ასე შეუტყვეობდა უნდა სწეფედებს სულიერი კომუნიკაციის ძარღვეს? გავიწყებდეს ფუქსა და ძირს? რა შაპუს ვაძლევთ მიწას, რომლიდანაც ვართ და რადაც უნდა ვქმნათ?

სპექტაკლის ძირი ტრაგიკულიერის ესთეტიკას ეწყარება, კომედიურს მოსდევს სერიოზული სცენები. მძებმა საკაცით სულ ახლახან „შეშოტანეს“ ვინახში შეუჩვეველი მუშაობით ქანკამოცლალა დღრმიშხანი (ვ. სივანი) რძლების ალაქოთმა სულ ახლახან გადაბრუნდა სცენაზე გამოტანლო ნაშველო ტრეში და ეს ამკარა ბუფონადა იქვე დააშოშინა დრამატული სიმძაფრით გამართულმა დილოგმა.

ტრაგიკომიკური გმირია ვიქტორ დობროვოლსკი ავაბოც. მახიობმა ხუმრობათ როგორდაც მკითხა: ამ კედლებში ოდინზურ ფიკურად ხომ არ გვეყენებათო (ლესია უქრანკას თეატრში იგი ფრანკოს თეატრიდანაა გადმოსუელი). ხუმრობა იქით იყო და, მე თუ მკითხავთ, ამ დაიდებული აქტიორის გარეშე წარმოდგენეული იქნებოდა ეს სპექტაკლი. რა დასამლოა, ო. იოსელიანი ავაბოს ეშხით ჰქმნიდა თავის პიესას. თეატრებიც ავაბოს ეშხით დგამენ „ურემს“ და დგამენ მხოლოდ მაშინ, როცა ავაბოს შემწე მახიობი ეგულებოდა. ლესია უქრანკას თეატრში ასეთი მსახიობია ვიქტორ დობროვოლსკი. მისმა მგზნებარე ძარღვიანმა

შესრულებამ არსებითად განაპირობა სპექტაკლის კონცეფცია. ისეთი შთაბეჭდილებაც დამრჩა, რომ ეს კონცეფცია რეჟისორის მიერ თავიდანვე მისი მდიდარი აქტიორული ფაქტურის გათვალისწინებით იქმნებოდა.

სპექტაკლის გაგებისათვის თავიდათვი ევრეო წოდებული „განზანვის სცენაა“, რეჟისორი ამ ფრაგმენტს განზრახ შენელებული ტემპით, ეპიური სიღრმეით წარმოაბთავს, ზედმეფეით რიტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს. აი, ევინახიდან დაბრუნებულ ვაყებს ავაბო დობროვოლსკი დოქიდან უსხამს წყალს, „განზანს“ მათ. მიწისაგან კი არა, მიწისადმი გულგრალობისაგან და თან საუბრით მათი სულის გამარგვლასაც ცდილობს. ყერ ხეტოს (ვ. დმეტრიუკი) ეტყვის: ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და ერთხელ კვდება, მეორედ მოსვლა არაკის უწერია, ერთხელ მოსვლისას უნდა იზრუნა, რას სტოვებ შენს შემდეგ. ადამიანი საერთოდ კი არ კვდება, ვინმესთვის ცოცხლობს, ვინმესთვის კვდება. ვინმეს ძალზე უნდა მოაყლდეს სიტყვა, საქმე შენა, აზრი — აქ ადამიანებისადმი პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი. შემდეგ დღრმიშხანზე გადაინაცვლებს: ფესვი, რომელი ზედაც შენ აღმოცენდი, მიწაშია. ეს თუ ღაზინადა, უბედურებაც გარდაუვალია. ჩვენი ოჯახი კი არა, სახელმწიფოებაც აღგვალა პირისაგან მიწისა! — ეს უკვე ფუქის ერთფულეებაზე ნათქვამია. მაგრამ... კვლავ ცერკო შეყარეო. შვილებს რგიანადე არც მოუტმენოთ მამის შეგონება. სახტად დარჩა ავაბო. — მისი ოდა ხალხით გაივსო, ის კი თურმე ისევე მარტოა. საპოლოოდ დარწმუნდა თავის მარტოობას. დარწმუნდა და მანც იბრძოლა თავისაწილი სიმართლისათვის. ავაბოს ბრძოლისა და მარტოობის თემა რეჟისორის მიერ ხაზგასმითაა სპექტაკლში წამოწეული და ვ. დობროვოლსკე-ს სრულად გადმოგვეცმა ორივე მომენტს — ბრძოლის ენებასა და დიად მარტოობას.

კიევის თეატრს დრამატურგთან ერთად აღლევებს პიესაში აღძრული პრობლემები. მაგრამ იგი იტოვებს განსხვავებულ დასკვნებს გამოტანის უფლებას. დრამატურგი, ვგონებ, უფრო იქით იხრება, რომ გამოსავალი შვილებს სოფლად დაბრუნებაშია. თეატრი ვერ ხედავს ამაში გამოსავალს (სხვა ამბავია, რომ მიწისა და ფესვის ერთფულეება ყველგან და ყოველთვის გვმარაუებს). თეატრს აზრით, ისტორიული პერსპექტივა სოფლისაგან კი არა, პირიქით, სოფლიდან ქალაქისაგან იშლებოდა და სოციალურ-ეთიკური პრობლემების დაძლევაც ცხოვრების ამ ობიექტური განვითარების ლოგიკის დამოწმებით უნდა მოხერხდეს. ოტა იოსელიანის რომანტიკული პოზიკია კოტე სურმავეს რეჟისურაში შეცვლილა მოვლენების სპექტაკული განწყობით.

საბოლოო ჯამში აქედან გამომდინარე ყალიბდება თეატრის დამოკიდებულება ავადობის ფენომენისადმი და აქვე იფეთქებს ის განცდა, რასაც მე ავადობის დონეობობა ვუწოდებ. დრამატურგისათვის ავადობა იდეალური გმირია, თეატრისათვის — დირექტული პიროვნება. პოესაში მისი აპოლოგია, სპექტაკლში — კრატეული დაფასება. დრამატურგი გვარწმუნებს, ავადობს ბრძოლა შვილის სოფელად დასარჩენად გამარჯვებით რომ დამთავრებულიყო, მოველებოდა სოფლის ერთ სატყეოვარს. თეატრი გვეტყვის, — ავადობს ბრძოლა არც შეიძლებოდა დამთავრებულიყო გამარჯვებით, ვინაიდან იგი ლამაზი რელიეფით შესჭიდებია ამაო მიზანს და რეალური პრობლემის დასაძლევად ვერ აგნებს რეალურსავე გზას. ციველთა სცენაზე დობროგოლსკის თავით ავადობ ბოლომდე დაჯერებულია თავის სიმართლეში, სპექტაკლი — ამ „რწმუნის კაცის“ მარტოობის მიზეზსაც გვიჩვენებს. ავადობს მარტოობა მის დონეობობაშია.

ავადობს სახის ასეთმა ვაგებამ ვაზარდა სპექტაკლში ავადობს მეუღლის კესარიას ფუნქცია. შეიღებთან ავადობს კამათის გვერდით ცხადად გამოიყვება ავადობ-დობროგოლსკისა და კესარია-თხალავას დისპუტი. დამნიანების ქალი ხომ სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებისაა ცხოვრებასა და შვილების მომავალზე, უმცროს ვაჟს ბუხუტისაც (ვ. სლანკო) ხომ იგი უწყობს ხელს სასწავლებელში ქალაქს წასასვლელად. ფინალმა გვიჩვენა, რომ დისპუტი კესარიას სასარგებლოდ დამთავრდა. ევგენია თხალავა

ღრმად წუდება თავისი გმირის ხასიათს, ხეებს ამ ხასიათის ფსიქოლოგიურ ნიუანსირებას. მისი შესრულება ტაქტიკა და ზომიერებითაა აღბეჭდილი.

ავადობს რძლებს — გოგოლას, ქუქუნასა და ლანდას შესაბამისად მ. რუნჩიჩიკო, ვ. იარემენკო და ტ. ბაზილევინი ასრულებენ. მიუხედავად დრამატურგიული მასალის სიმციროსა, იუმორით მონიშნული მათ მიერ შექმნილი სახეები დასამახსოვრებელია სპექტაკლში. უფრო დასამახსოვრებელია, ვიდრე სახეები ავადობს შვილებსა.

ორიგინალურადაა წარმოდგენილი კარპე, რომელიც ე. ბალიევმა გაორებულის ნაცვლად მონოლოთურ კაცად დაგვიხატა.

და, საერთოდ, სპექტაკლში არის ანსამბლი. ჩანს, ეს სპექტაკლი კივეელი მსახიობებისა და ქართული რეჟისორის ურთიერთგაგების, ნამდელი შემოქმედებითი ნიშნის ატმოსფეროში იზალებოდა.

მე ასე ვფიქრობ, — კიველთა „ურემი“ თანამედროვე პოეტურა სპექტაკლს ურთის სარწმუნო მოდელია. იგი ხარკუხუბისაგან სულაც არაა დაზღვეული. მაგრამ ეს არ ანელებს მის პოზიტურ შეფასებასა და მისადმი ინტერესს.

ლესია უკრაინკას თეატრში მყოფრებელი დღეს მიდის ქართველ ავადობსთან სათათბიროდ, თუ გნებავთ, საკამათოდაც. და ორავე შემთხვევაში სულის სიმხნევის მოსაყრებად.

## საპარტიველოს თეატრალურ საზოგადოებაში

5 მარტს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, გრაზოდოვანს სახელობის სახელმწიფო თეატრმა და ხელოვნებას მეუწყათა სახელმა მოაწყვეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტთა ანატოლ სმირნინის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით ვახსნა გრაზოდოვანის სახელობის სახ. თეატრის მთავარმ. რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ. მსახიობის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა ხელოვნების დამახსოვრებულმა მოღვაწემ ელ. შაფათავამ, მოგონებებით გამოვიდნენ სსრ სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე და დ. ანთაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი ვ. მახარაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, ხელ. დამს. მოღვაწე ი. რუბინი, საქ. სსრ დამს. არტისტი ი. შვეჩუკა, საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. ამირბეკიანი.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო საქ. სსრ სახალხო არტისტმა მერი ნაკაშიძემ, ნაჩვენებია იქნა ნაწყვეტება კინოფილმიდან ანატოლ სმირნინის მონაწილეობით.

## ლიბიზი არაყიშვილი

მირა ფიჩხაძე

**ლიბიზი** არაყიშვილის გახსენებისას თვალწინ წარმოიდგება საოცარი ენერჯისა და სი-  
ოცხლოთა სავსე ადამიანი. ცხოვრების ყველაზე  
მძიმე წუთებშიც კი იგი არ კარგავდა რწმენას  
და იმდღს.

ჩვენ, მისი სტუდენტები აღფრთოვანებულნი  
ეყავით მსცოვანი კომპოზიტორის ამგვარი  
შრომისმოყვარეობით, დაუღალავი საქმიანობით.  
დამატარა არაყიშვილი უაღრესად მრავალ-  
მხრივი მუსიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო,  
ყოველნაირად ხელს უწყობდა მშობლიური მე-  
სიკალტურა ხელოვნების აყვავებას. უფროსი თა-  
ობის ქართულ კომპოზიტორებთან მელატონ  
ბალანჩივაძესთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ვიქ-  
ტორ დოლიძესთან ერთად არაყიშვილმა მყარი  
საფუძველი შეუქმნა ქართულ პროფესიულ მე-  
სიკას.

დამატარა არაყიშვილმა ბავშვობიდან ცხოვრე-  
ბას მძიმე და რთული გზა გაიარა. მოღვაწეობა  
სწორედ იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც ქარ-  
თულ მუსიკას განსაკუთრებით ესაქიროებოდა  
ასეთი ხელოვანი — ნამდვილი ენთუზიასტე-  
ბი. ისინი უანგაროდ, წრფელი გულით ემსახუ-  
რებოდნენ მშობლიურ ხელოვნებას და არაკი-  
თარი სხვა მიზანი და სურვილი არ ჰქონათ,  
გარდა იმისა, რომ რაც შეიძლება, ხმამაღლა  
აქტურებულყო ქართული მუსიკა, რომ გაზრ-  
დილიყო მის შემფასებელთა და თაყვანისმცე-  
მელთა რიცხვი. ახლანდელი თაობები განაა-  
კეთრებით მაღლივნი უნდა იყვნენ ამისათვის.

არაყიშვილის სიყრმის წლები ნამდვილი  
მშრომელის ბიოგრაფიაა. რა საქმეს არ ჰკიდებ-  
და ხელს, რომ ეარსებდა. მამის გარდაცვალები  
გამო ოჯახი დაობდა, დამატარა ვალდებული  
იყო მასზე ეზრუნა. ამიტომაც მისი მუსიკალტ-  
ური ნიჭი გვიან გამოვლინდა; ოცი წლის ასაკში  
აქვეყნებს პირველ ნაწარმოებს. მისი „ქართუ-  
ლი ცეკვა“ ფორტეპიანოსათვის დაბეჭდა მრავ-  
ლისმთქმელი ფსევდონიმით „საწყვალაშვილი“,  
ახლგაზრდა არაყიშვილისათვის ეს იყო დიდად  
მნიშვნელოვანი რამ — დაბეჭდილი იხილა თა-  
ვისი ქმნილება. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გა-  
აძლიერა მასში ერთადერთი სურვილი — რა-  
დაც არ უნდა დასჯდომოდა მუსიკა ესწავლა.

და აა, დღეი სურველებითა და ცარიელი ჭი-  
ბით მოსკოვში მიემგზავრება. მისი თაობის  
ყველა ქართველი კომპოზიტორი იმ ხანად რუ-

სეთში ჩადაოდა პროფესიული განათლების მი-  
საღებად, დიდი ცოდნით აღჭურვილნი ისინი  
სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მათ კარგად ჰქონ-  
დათ შესწავლილი მათელი მუსიკის ტრადი-  
ციები, საუცხოოდ ერყვეოდნენ წარსულის მემ-  
კვლრებობაშიც და თანამედროვე მიმართულე-  
ბებშიც. მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოხვედ-  
რილა ამ მიმართულეებებს ზეგაუღენწი, არც  
ერთ მათგანს არ მიუბაძია უცხოური ხელოვნე-  
ბისათვის. მათ განსაკუთრებით უყვარდათ და  
პატივს სცემდნენ საეუთარს, მშობლიურა და  
ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ  
ქართული მუსიკისათვის მისი სიწმინდე და  
თვითმყოფადობა.

მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოებასთან  
არსებული უმაღლესი მუსიკალტური საწავლებ-  
ლის სტუდენტა ახალგაზრდა არაყიშვილი არა  
მარტო ეუფლება საკომპოზიციო ტექნიკას და  
ოსტატობას, მოსკოვში მიზნად ისახავს რეს-  
საზოგადოებას მშობლიური ხელოვნების სიმ-  
ღირე და თავისებურება გააცნოს.

ქართული ხალხური სიმღერის შესანარჩუნე  
მცოდნე არაყიშვილი სულ მალე შესამჩნევი პი-  
როვნება ხდება პეტერბურგისა და მოსკოვის  
მუსიკალტურ წრეებში. რუსმა მოღვაწეებმა გა-  
იცნეს ნამდვილი მკვლევარი. ამიტომაც არა-  
ყიშვილი შეიყვანეს მოსკოვის უნივერსიტეტთან  
არსებული მუსიკალტურ-ეთნოგრაფიული კომი-  
სიის შემადგენლობაში. აღნიშნული კომისია შე-  
ისწავლიდა რუსეთის ტერატორიაზე მცხოვრებ  
სხვადასხვა ეროვნებათა ფოლკლორს. თუ გავი-  
თვალისწინებთ, რომ ამ კომისიის წევრები იყე-  
ნენ ტანეევი, კასტალსკი, პასხალოვი, გრჩინი-  
ნოვი, ივოტსკი, კალინოვი და სხვები, მათე-  
ლი განდებდა რამდენად დიდი პატივი იყო ეს  
ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსისათვის. ასე  
დაიწყო დამატარა არაყიშვილის მკვნიერულ-  
კვლევითი მოღვაწეობა, რასაც უდიდესი მსაშ-  
ნელობა ჰქონდა ქართული მუსიკისათვის.

დამატარა არაყიშვილმა პირველად დასაბუთო  
მკვნიერულად თავისი დაკვირვებები ქართულ  
ხალხურ სიმღერაზე. მან პირველმა მიუთითო  
ხალხური შემოქმედების სიმღიდრეზე და მრავ-  
ალფეროვნებაზე. მისი ექსპულიციები საქართ-  
ველოს სხვადასხვა რაიონებში, რის შედეგადაც  
ხალხური მუსიკის მრავალი ნიმუში ჩაიწერა,  
დიდად მნიშვნელოვან მოკლენად იქცა.





შრომზე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელი თვისებების, გურული პოლიფონიის, ქართლ-კახური სიმღერების იმპროვიზაციული მანერის, ქართული საკრავური მუსიკის შესახებ და კიდევ ბევრი სხვა დიდი შენაძენია ქართული მუსიკისათვის.

გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარია დ. არაყიშვილი ფუძემდებელია საქართველოში მუსიკისციფლიზაციისა, როგორც მეცნიერებისა. ამიტომ მისი პირველივე სამტომიანი კაპიტალური სახე მოსკოვში შეფასებული იქნა, როგორც შრომითი და მის ფინანსადაც კომსიამ ოქროს მედალი მიანიჭა.

დ. არაყიშვილმა კონსერვატორიაში შემოიღო ახალი კურსი — ხალხური შემოქმედება, რათაც ხელი შეუწყო მომავალი ფოლკლორისტების აღზრდას.

გარდა ნაშრომი ღრმა, პროფესიული ცოდნისა და ერუდიციისა, დ. არაყიშვილი დაჯილდოებული იყო კიდევ ერთი შესანიშნავი თვისებით — ტექნიკური ენთუზიაზმით. ის ყოველთვის ახალი იდეებით იყო გატაცებული და უნარი შესწევდა ამ იდეებთ სხვაზეც გაეცა. ის ერთნაირად ახმარდა თავის ენერჯის და ცოდნის საკომპოზიციო, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ-ორგანიზატორულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ამიტომაც კერ კიდევ მოსკოვში ყველას ასე ხიბლავდა მისი აქტიურობა, ენერჯია, გაქანება. ის ახლოს იდგა რუსული მუსიკალური კულტურის ბევრ მოღვაწესთან. მათთან ერთად აარსებდა მოსკოვში სახალხო კონსერვატორიას. კონსერვატორია კეთილშობილურ მიზანს ემსახურებოდა — საყოველთაო მუსიკალური განათლება შეეტანა ფართო მასებში. მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში. არაყიშვილმა გახსნა უფასო მუსიკალური სკოლა. იგი გამოდიოდა პრესაში და იცავდა რუსული საკომპოზიტორი სკოლის იდეებსა და პოზიციებს, დააარსა ქურონალი „მუსიკა და ცხოვრება“.

ეს ენერჯია და უკომპრომიზო ხელისუფლებისადმი საყვარელი არაყიშვილმა შეინარჩუნა სიცოცხლის ბლო წუთამდე.

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი მოღვაწეობა ორმხრივად აქტიულებოდა, რადგანაც მკვიდროდ არის დაკავშირებული მშობლიური ხელოვნების ბედ-იღბალთან. არ იყო არცერთი დარგი შემოქმედებითი, მუსიკალურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სადაც დიმიტრი არაყიშვილს შესაძენევი კვალი არ დავტოვებინა.

სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში დაბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ აქ იწყება ახალგაზრდა ქართული საბჭოთა მუსიკის აღმავლობის ხანა.

თავისი თაობის კომპოზიტორებთან და არაყიშვილი ცდილობს მკვიდროდ დღესტაროს ერთმანეთს თანამედროვე ხელოვნება და ტრადიციები. მშობლიურ ნიადაგზე გადმოაქვს რუსული კლასიკური სკოლის მაღალმხატვრული რეალისტური თვისებები. ამავე დროს უდიდესი სიფიქრით უნარჩუნებს ქართულ მუსიკის მის თვითმყოფადობას და იბრძვის მისი განვითარების ინდივიდუალური გზებისათვის.

არაყიშვილი იყო პირველი ქართული კავალის მხატვრული ხელმძღვანელი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი თავმჯდომარე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაარსა ქართული მუსიკალური ფოლკლორის განყოფილება.

დღი მნიშვნელობა ჰქონდა არაყიშვილის მიერ 1921 წელს დაარსებულ მეორე კონსერვატორიის თბილისში. კონსერვატორიამ ფართოდ გაუღო კარი ნიჭურ ახალგაზრდობას. აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა კონსერვატორიასთან არსებული პირველი ქართული საოპერო სტუდია.

დომიტრა არაყიშვილის სახელთან დაკავშირებულია ქართული მუსიკის სხვადასხვა განყოფილების განვითარება და დახვედრა.

ნიკოთა და მოწოდებით ლირიკოსი დ. არაყიშვილი განსაკუთრებით მოსწრაფოდა ეოკალური მანაიტურის ეარნაიკენ. აღმანანს ხმის ბუნების საუცხოო მიცოდნემ მუელი სიცოცხლის მანაიტზე ოთხმოცამდე რომანია შექმნა.

დომიტრა არაყიშვილის ისტორიული მნიშვნელობა კანერულ-ეოკალური მუსიკის დარგში იწყებ დღია. როგორც ზაქარია ფელიაშვილისა საოპერო ეარნია. არცერთ ქართულ კომპოზიტორს არ აუყვანია ეს ეარნი ესოდენ მაღალ მხატვრულ სიმაღლეზე. არაყიშვილმა შექმნა მისი კლასიკური ნამუშები.

ღრმ, ყველაზე მეცერმა და ზუსტმა მსაქმა განსაზღვრა მათი ადგალი და მნიშვნელობა; დღეს შეუძლებელია ქართული მუსიკის წარმოდგენა არაყიშვილის რომანების გარეშე რადონდ გაღარბდებოდა ჩვენი მომღერლები რეპერტუარი ამ თბილი, უშუალო, ალურაინი, წრფელი გული დაწერილი ლირიკული მინაიტურებს გარეშე.

სწორედ ამ შინაგანი სითბოთი, აღმანანტობით, სისადავით ხიბლავს არაყიშვილის რომანები მსმენელთა ფართო წრეს. არაყიშვილის ლარაკ ყოველთვის ნათელი, წმინდა, ემოციურად მდიდარია. მისი გმირი ყოველთვის სულად და ოპტიმისტურად შეხუტრებს ცხოვრებას.

არაყიშვილის რომანების მრავალმხრივმა ინტონაციურმა წყარობმა ბევრად განაპარობეს მათი პოპულარობა. ეს წყარობებია ცალფა ხალხური გლხური სიმღერა, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები, რუსული ეოკალური მუსიკის





ტრადიციები. ისინი შემოქმედებითად აითვისა კომპოზიტორმა. ამის გარდა, საქართველოში უკვე არსებობდა ქართული სარომანსო შემოქმედების ტრადიციები მელიტონ ბალანჩივაძის რომანსების სახით. არაყიშვილმა არ აუარა მათ გვერდს.

ფართოა იმ პოეტთა წრე, რომელთაც არაყიშვილი მიმართავდა, მაგრამ ის მიიწვ თავისათვის ყველაზე ახლობელ ლირიკულ ლექსებს იჩრევდა.

რუსი პოეტებიდან მას განსაკუთრებით უყვარდა პუშკინი, ფეტი, დავიდოვი, რუსულად თარგმნილი ჰაფიზის ლექსები, ხოლო ქართველებიდან გიორგი ქუჩიშვილი.

ქართველ კომპოზიტორთა შორის პუშკინის პოეზიას დ. არაყიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიმართა. მან აირჩია რუსი პოეტების საქართველოსადმი მოძღვნილი ლექსები, რომანსები „ივერჩაის მთებზე“, „ნუ მიმღერ, ტურჟაე“ გამსჭვალულია ნათელი, ლირიკული განწყობილებით.

მრავალფეროვანი, მდიდარი ადამიანური გრძნობება გადმოცემულია დ. არაყიშვილის ეოკალურ მინიატურებში. ყოველი რომანსი მხატვრულ სახეზეა თავისებური სამყაროა; „კარსკვლავიანსა ლამის“ ნახი, ალერსიანი ლირიკა ისევე ხიბლავს მსმენელს, როგორც „მე შენ გელის“ მგზნებარე დინამიკურობა, გრძნობათა აღმაფრენა.

ეგვრთწოდებული „აღმოსავლური რომანსების“ — „კვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „აღლდექი, შეინავარდე“—ს სევდიანი მოცული სიყვარული სრულად განსხვავდება ამ სოციალური და მოქალაქეობრივი მოტივებისაგან, რომლებიც გაბატონებულია ქუჩიშვილის მხხედვით შექმნილ რომანსებში „შემოდამდება“, „ურმელზე“.

ამავე დროს არაყიშვილის ყველა რომანსს ერთი რამ აკავშირებს — მიუღ მას შემოქმედებაში გაბატონებული ნათელი მსოფლმეგობრება, რაც თვით ამ ხელოვანის შინაგანი ბუნებიდან გამოძინარობდა, ხელოვანისა, რომელსაც შესწევდა უნარი დაენახა ცხოვრებაში სულამაზე, მისი მომხიბველი, პოეტური მხარეები.

ამიტომ, არაყიშვილის რომანსები არაპირდაპირ სასიამოვნო მოსასმენია, მათ ვაჩნია დღის უტეტუკური შემოქმედებითა ძალა.

ქართულ მუსიკაში არ არსებობს ეანრა, რომელშიც არაყიშვილს კვალი არ დაეტოვებინოს. არაყიშვილის სახელთან დაკავშირებულია სიმფონიური ეანრის დაბადება საქართველოში.

1911 წელს შექმნილი სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმულს“ ეროვნული სიმფონიზმის პირველი ნიმუში იყო. მიდრეკილებით ლირიკოსი არაყიშვილი დიდ ფართო ნაწარმოებებშიც ასეთივე დაჩრა. მან გააძლიერა სიმფონიური მუსიკაში ლირიკული ნახი და ერთ-ერთ თავის სიმფონიის „ლირიკული“ კი უწოდა. თანამედროვეობას ერთ-ერთი პირველი გამოცხადებელი და სიმფონიური ნაწარმოებით. მესამე სიმფონია „სამშობლო და გამარჯვება“ სამაშველო ომს უძღვნა. არაყიშვილის სიმფონიების ლირიკული ფერტული გვხვობავენ ფორმის დახვეწილობით და ნათელი, უშუალო განწყობილებით. ისინი გამოირჩევიან მელოდიური სიუხვით, რაც ესოდენ დამახასიათებელია არაყიშვილის შემოქმედებისათვის. კომპოზიტორმა ინსტრუმენტულ მუსიკაშიც კი გადმოიტანა ადამიანის ხმის გამოხატვითობა და მღერალობა.

არაყიშვილი ავტორია პირველი ქართული ლირიკული ოპერისა. მისი „თქმულგა შოთა რუსთაველზე“ დაიდგა 1919 წელს „აბეჯალომ და ეთარისა“ და „ქეთო და კოტეს“—თან ერთდროულად. ეს ნაწარმოები ღირსია იმისა, რომ მას მეტე ყურადღება მიექცეს და საოპერო თეატრის რეპერტუარში იქნას შეტანილი. გარკვეული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა არაყიშვილის ლირიკული-კომიკური ოპერა „დინარა“.

დომიტრი არაყიშვილი მუსიკით სუნთქავდა. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, თითქმის 80 წლის ასაკში ისეთივე ენერგიით, შრომისმოყვარეობით და ცხოვრებასადმი დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული, როგორც ახალგაზრდობაში.

მისი მოღვაწეობა მიზაძის მავალითად იქცა თაობებისათვის.

## „ ს ე ვ ლ ი ა “

### ბიოგრაფი ჯავახიშვილი

1911 წელს შალვა დადიანი თეატრალური დასით მოგზაურობს ქაბთში. ამ მოგზაურობის შესახებ „სახალხო გაზეთში“ იგი წერდა: „წლებსაც წილად მხვდა ზაფხული მშვენიერ ქაბთში გამეტარებინა. რაღა თქმა უნდა, რომ პირველი სტუმრობა ჩემს გულითად მეგობარს ნიჭიერ მსახიობს დ. აყურელს ვაუწიე და აი მის მშვენიერ ღვინოსთან და მის საამურ მახ-

ვილობასთან ერთად ერთგვარი სათეატრო სიხარული განვიცადე. იქ ვაციანი ბ. სევილია, რომელსაც დაუწერია დიდად შესამჩნევი პიესა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, „სიბნელის მსხვერპლი“ (№ 381).

შალვა დადიანის მიერ აქ დასახლებული „ბ. სევილია“ ფსევდონიმი მრავალმხარეი მოღვაწის ნინო დავითის ასულ გოგოლძისა, რომ-



მლის შესახებ კ დღეს ფართო საზოგადოებრივ-ობისთვის ბუერა რამ უცნობაა.

ნ. დ. გოგოლაძე დაიბადა 1885 წლის 11 მარტს თელავის რაიონის სოფელ მატანში (ეს სოფელი დღეს ახმეტის რაიონს ეკუთვნის) 9 წლის წინო შეიყვანეს თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში, რომლის დანიშნულებას შემდეგ მიაღი მასწავლებლს მოწმობა.

1905 წელს პოეტ სოლო გოშაძის ხელმძღვანელობით თელავში ჩამოყალიბდა სტენისმოყვარეთა დასი, რომლის აქტიური წევრი გახდა ნინო გოგოლაძე. იგი პარალელურად მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის მალაზიაში, სადაც გარკონ და დემეტობერია ცნობილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს: აკაკი წერეთელს, ვეფხველას, შალვა დადიანს, იოსებ გრიშაშვილს, ნიკო სულხანიშვილს, იოსებ იმედაშვილს, კენა-ფშველას, იოსებ მჭედლიშვილს, დავით თურღოსაძეს და სხვებს.

ნინო გოგოლაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა იწყება 1910 წლიდან, როდესაც იგი ეფრნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ აქვეყნებს ლექსს „უდაბნოს ვეგზე გულდაკოდილი“ (№ 34). ამის შემდეგ იგი იმდროინდელ ქართულ პრესაში ხშირად აქვეყნებს „სედიანს“ შეკვიდრებით ხელმოწერილ ლექსებს, ნოველებს და კორესპონდენციებს.

რევოლუციური სტულსკეობით აღსაქვე ლექსები იბეჭდება გაზეთებში „ხმა კახეთისა“, „სახალხო საქმე“ და სხვა. საინტერესოა სედიანის იმ ლექსის ისტორია, რომელიც მიძღვნილია იროლონ ევლოვილისადმი. ლექსი დაწერილია 1911 წელს და ავტორს გაუგზავნია „სახალხო საქმეში“. მისი გამოქვეყნების უფლება არ მიუციათ და 1946 წელს არქივში უპოვია იოსებ გრიშაშვილს და ბეჭდავს იმავე წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. (№ 21). ამის შესახებ ი. გრიშაშვილი პირადი ბარათით ატყობინებს ნინოს: „ქ-ნო ნინო! თქვენი ლექსი და წერილი მივიღე. (ლექსის ამბავი ძალიან გრძელა და ამიტომ შეძილვა გაზეთში არ დაბეჭდონ) თქვენი დაბეჭდილი ლექსისათვის 200 მანეთს გიგზავნით. პალაუ!

ი. გრიშაშვილი 1946. 5. VI“

ნინო გოგოლაძის ნიჭი უფრო პირობაში და დრამატურგიაში გამოჰდგინდა. მის ფსიქოლოგიურ ნოველებში: „ბულბულის გოდება“, „ჩემი სატრფო“, „არწივის ბუდე“, „ფთობები კი ცვიოდა... ცვიოდა“, „უქანისკნელი საღამო“, „მეგობრის წერილიდან“, „შროშანას თაიჯული“ და სხვებში. შოი არავისპირკლის, ნიკო ლორთქიფანიძის და ჭოლა ლომიათიძის ნოველებთან სტალურა სიახლოვე ჩანს.

ნ. გოგოლაძის კალამს ეკუთვნის 10-მდე დრამა-

მატული ნაწარმოები, რომელთა ნაწილი წარმოტებით იბეჭებოდა ქართულ სცენაზე. მაგ. პიესა „მკითხავი“, ი. გრიშაშვილის ცნობით, 1910 წელს დადგა ქართულმა დასმა ნ. გაბუნია-ცაგარელისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით. (იხ. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946. № 21).

როგორც ზემოთაუ აღვნიშნეთ, ნ. გოგოლაძის „მკითხავს“ პირველად შალვა დადიანი შეეხი და მოითხოვა მისი დადგმა. იგი „სახალხო გაზეთში“ (1911 წ. № 381) მიუთითებდა: „უწინარეს ყოვლისა მე ის მოწმობს, რომ სრულად უპირატესობად არის პიესა დაწერილი, ავტორი არ გამოსდგომია თეატრალურ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ხლართსა და სადრამო კვანძებს. სასტრუველის უბრალოებით, ბუნებრივად არის გადმოცემული სოფლის ცხოვრება და დიდის დავკირეებით, საჭმარს ცოდნით არის განსახიერებული ყველა მოქმედი პირი პიესისა და თითოეული ფრაზაც კი, მათგან თქმული“.

1914 წლის 31 ივლისის თარიღით ცენზურის მეტი ნებადართულაა, რომ დადგმულყო ნინო გოგოლაძის დრამა „თავისუფალი საყვარელი“. დრამა დაუდგამს მ.ბ. ქორულს თელავში. პიესაში როლები განუსახიერებიათ: ნინო ჩხვიძეს, კორიშელს, მედეა ქორულს, გომელაურს, ნ. დავითაშვილს, მ.ბ. ქორულს და სხვებს.

ნ. გოგოლაძის ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1954 წელს დოც. ალექსანდრე გვესციძის თხოვნით არის დაწერილი, კვათხულობთ: „მაქვს დაწერილი ორი ახალი პიესა, ერთი მათგანი შალვა დადიანთან არის გაგზავნილი ვასარჩევად“. ერთ-ერთი ამ პიესას დედანი მწერალი ქალის არქივშია დაცული და მისი თემაა დიდი სამამულო ომი. პიესაში შთამბეჭდავი ფერები არის დახატული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე.

ნინო გოგოლაძე ხშირად თავის ახალ ნაწარმოებს განსახილველად უგზავნიდა უფროს თანამოკალმეებს შალვა დადიანს და იოსებ გრიშაშვილს. ისინიც განსაკუთრებული გულთბილობით ეკულებოდნენ მათ ავტორს, რჩევა-დარჩევბას არ აკლებდნენ. აი, შ. დადიანის ზოგადი წერილი „მატრეკემელი ნინო! გამეხარდა, რომ პიესა დაგწერიათ, რადგანაც თქვენ ქარვად იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ზნე-ხაჩაისს, მის უნარს, მის მომხადებლის დონეს და სხვ. ეს თქვენ დაამტკიცეთ თქვენი აღრინდელი პიესით — „მკითხავი“.

ცხადია მას შექმდე კიდევ მეტი გამოცდილება შეიძინეთ, დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას თქვენი მხატვრული თვალის კარვად განჭვრეტდა.

გამომგზავნეთ, მე საამოვნებით წაეკითხავ და, რაკი ჩემი აზრი გნებავთ ამ ახალი პიესის

1928

პ. მარტისის სახელობის საბჭო



გარემო, ამასაც მოუფერებლად მოგახსენებთ, რადგან თქვენ, ცხადია, მეგობრის პირუთენელი მსჯელობა ესტრტ გაიგოთ.

გამოგზავნეთ ჩემი ოფიციალური მისამართით: თბილისი, მხარაძის № 8, თეატრალური საზოგადოება (ამას და ამას).

მხოლოდ ერთია: თქვენი წერილი დიდა ბოღნიებით არის დატვირთული. ვთხოვთ მომავალში ეგ არ დაიპირვოთ.

იყავით კარგად. გისურვებთ წარმატებას.

**შალვა დადიანი.**

1949 წელს შალვა დადიანი ნინო გოგოლაძეს წერს: „ძვირფასო ნინო! სრულ სიმართლეს სწერს, რომ პატრიოტული გრძნობის გაღვივება მუდამ საჭირო და საუბრაო საქმეა და ამ იღუესათვის შემოქმედება მარადიულია... ამ მხრივ თქვენს პიესას ნაკლები არა აქვს და მე ეს ჩემ წერილში არც დამიწუნია. მე ისა მგონია, რომ ამყამად თეატრებს ისევ და ისევ პატრიოტულ ნიადაგზე აღმოცენებულნი, მაგრამ სხვა თემები აქვთ საყურადღებოთ ქვეული და ამბავი შეიძლება ამას ამყამად ხელი არ მოჰქონდნენ-მეთქი, რადგან ახლა საჭიროა ბევრი წამოვიდეს, ასე ვთქვათ შინამდგომარეობის თემებზე დაწერილი პიესები და როდესაც ესეთები მოხშირდება, მაშინ თქვენი პიესაც მაღლიანად გაივლებს ქართულ სცენაზე.“

ახლა, კარგი იქნება თუ თქვენს ხალ პიესას „შუქურასაც“ წამკითხებთ. ამ თქვენ უსაათურო პიესას როდესაც მოინდომებთ, შემატყობინეთ და გამოგვგზავნით.

გისურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას. ნუ უტკივობთ. საღამო. შ. დადიანი. 9. V. 49“.

ნ. გოგოლაძის არქივში დაცულია იოსებ გრიშაშვილის 10 წერილი, რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული ამ ორი შემოქმედის ცხოვრება-მოღვაწეობის ირგვლივ. სანიშნულად მოვიყვანთ ერთ წერილს: „1916 წ. 29 აპრ. ნინო: თქვენი „შრომანის თაიგულს“ მივიღეთ. კვირას დაბეჭდება თუ დატბია. კარგია. მოეწონა ყველას... მე კარგად ვიგზავარე. მხოლოდ ეს უბიძობა მკლავს. მინდოდა ერთი გამეთამაშა ნაღვერისავე, მაგრამ კაცს ბედი უნდა: საბავგელი ამინდი რალა მე შემემთხვა?... ნახვამდის. ერთი გვრტა მომეწინა თქვენ კახეთში, რომელსაც ყორნის ფრთები აქვს ტანზე. აფსუსს!.. ნახვამდის. ნუ დამივიწყებ... პატივისცემით ი. გრიშაშვილი“.

ნ. გოგოლაძის არქივში დაცულია იოსებ იმედაშვილის, სიკო ფრშაღიშვილის, კენა-ფშაველას და სხვათა წერილებიც.

ნ. გოგოლაძის ნაწერები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა „თეატრსა და ცხოვრებაში“, „სა-

ხალხო გავთში“, „სახალხო ფურცელში“ „უბრუნავალი კადულში“, „ხმა კახეთისაში“ (გამოდიოდა 1912-1917 წლებში), „ახალგაზრდა ქართველში“ (გამოდიოდა თელავში 1919 წელს), ქართველ მწერალ ქალთა „აღმანახში“ (1925 წ.), გაზეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ და სხვ.

ნ. გოგოლაძის მთავარი და საყვარელი ფსევდონიმი იყო „სევილია“, მაგრამ იგი წერდა კიდევ ასეთი ფსევდონიმებითაც: „შხამი“, „ნალიკერლი“ და „ნარგანი“. ამ ფსევდონიმებით არის ხელმოწერილი მისი პუბლიცისტური წერილები და იუმორისტული ნაწარმოებები.

ნინო გოგოლაძე წლების განმავლობაში იყო თელავის რაიზოფსასტოს თავმჯდომარის მოადგილე. 1937 წლიდან 1947 წლამდე კი „საქვეპრობის“ თელავის განყოფილების პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა. შემდეგ მუშაობდა „საქვეპრობის“ საფინანსო-საადრცხო განყოფილებაში, საიდანაც გადის პენსიაზე.

ნინო გოგოლაძე 73 წლის ასაკში, 1958 წლის 10 სექტემბერს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს თელავში. უბრეტენზიო კალმოსნის გარდაცვალებით დამწუხრებულმა შალვა დადიანმა, იოსებ გრიშაშვილმა, მიხეილ მრეველაშვილმა და სხვებმა თელავის საზოგადოებას სამგლოვიარო ღებუშები გამოუგზავნეს. შალვა დადიანი იწერებოდა: „საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი თანაგრძნობას გიცხადებთ ძველი საზოგადო მოღვაწის, დრამატურგი ნინო გოგოლაძის გარდაცვალების გამო“. ი. გრიშაშვილი იუწყებოდა: „გული დამიძმად ნიჭიერი მწერლის ნინო გოგოლაძის გარდაცვალების გამო“. „გულწრფელად ვწუხვარ, ჩვენი საზოგადო მოღვაწის, ქართული მწერლობის პირუთენელი მოყვარულის, პირადი მეგობრისა და ნათესავის გარდაცვალებას“ — წერდა მიხეილ მრეველაშვილი.

თელავის რაიონულმა გავთთმა „კოლმეურნის ხმა“ გამოაქვეყნა ნეკროლოგი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ვალა შეეკრაბოთ და სათანადოდ დავიცვათ სხვადასხვა ფურნალ-გავთებში გაბნეული მისი ნაწერები; შევადგინოთ მისი ვრცელი ბიოგრაფია, სადაც ნათლად გამოჩნდება მარტვი, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება ქალისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საზოგადოებრივ-სამარგებლო შრომაში გაატარა და სიმართლით გამოთბარა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები დავეტოვა“. (1958 წ. № 110).

ნინო გოგოლაძის არქივი დაცულია ი. გოგბაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.



## სანდრო ახმეტელი თელავში

შალვა მარკოზაშვილი

**გამოჩენილი** ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის თეატრალური ნათლობა კახეთის მშვენიერ ქალაქ თელავთან არის დაკავშირებული.

სანდროს მამა ვასილი, რომელიც სოფ. კოლოთოში მღვდლად მუშაობდა, დრო და დრო დაიარებოდა სამაზრო ქალაქ თელავში, ხშირად თან შვილებზე მიყავდა და სიამოვნებით უჩვენებდა სხვადასხვა სახის მხატვრულ სანახაობებს.

როცა ს. ახმეტელი თელავის სასულიერო სასწავლებელში მოეწყო, საეკლესიო გუნდის მშვენება გახდა. მას ბავშვობიდანვე განაყვთრებული მუსიკალური ნიჭი ჰქონია, შესანიშნავად უკრავდა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, მგალობელ ფრინველებსაც კი ოსტატურად ბაძავდა.

ბუნებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული და ლამაზი გარეგნობის ს. ახმეტელი მოწონებას იმსახურებდა მაყურებლებში, მისი გამოჩენის დროს ყოველთვის ტაში ქუხდა.

ერთ ხანს ნიჭიერი სანდრო ნიკო სულხანიშვილის მომდღერალმა გუნდის წევრიც ყოფილა. კომპოზიტორი მას კარგ მომავალ უწინასწარმეტყველებდა.

თელავის სასულიერო სასწავლებლიდან მშობლებმა სანდრო განჯაში წაიყვანეს და გიმნაზიაში მიასარეს, მაგრამ იქაურ პირობებს ყმაწვილი ვერ შეეგუა, მალე დატოვა განჯა და საყვარელ თელავს დაუბრუნდა.

1902 წელს, 16 წლის სანდრო თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოეწყო. დედაქალაქში სწავლის დროს მთელი გატაცებით დაეწევა მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

როგორც ცნობილია, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ს. ახმეტელი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა და ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე.

სანდრო ახმეტელის ჩამოყალიბებაში უდიდესი გავლენა მოახდინა გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის ოჯახმა. ივანეს შვილებს, განსაკუთრებით ბარბარეს და ანასტასიას, თეატრალური ხელოვნება ბავშვობიდანვე იზიდავდა და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მუდამ თეატრში ემსახურათ.

1904 წელს ტასო როსტომაშვილს თავის დღიურში ჩაუწერია:

„რა დიდი გატაცებით, აღზნებით მიყვარს თეატრი. გადაწყვეტილი მაქვს მსახიობი გავხდე, რა წინააღმდეგობაც არ უნდა გადამელოს...“

დებმა, ბაბო და ტასო როსტომაშვილებმა მალე თელავში სახელი გაითქვეს, როგორც ნიკიერმა მსახიობებმა. თელაველი ანტრეპრენიორი მელქო აჯანაძე დიდი აღტაცებული იყო როსტომაშვილის ქალების ნიჭიერებით და ხელს უწყობდა მათი ნიჭის გაფურჩქვნას. ტ. როსტომაშვილი კმაყოფილებით იგონებს წარსულს:

„1905 წელს ქ. თელავში ჩემი უფროსი დის ბაბოს ხელმძღვანელობით მზადდებოდა დასადგმელად ისტორიული პიესა „რეალური ელჩი პიეტრო დე ლა ვალა და მანუა“. ამ პიესაში მანუას როლში მე გამოვიდი და აი, ერთხელ, რეპეტიციის დროს ჩემთან ახლოს მივიდა მშვენიერი გარეგნობის წარმოსადგევი ახალგაზრდა და ჩემს პარტიორს კირო გელოვანს დაუწყო საუბარი, თან გაღიმებული მადვენებდა თავს. მე იმდენსვე შევიტყუე, რომ ის ახალგაზრდა სანდრო ახმეტელი იყო. მალე ჩვენ ერთმანეთი სხვის დაუხმარებლად გავიყვინით. პირველ გაცნობისთანავე მე გატაცებით ვესაუბრებოდა თეატრზე, ჩვენს ცნობალ მსახიობებზე და მსიამოვნებდა, რომ ამ თემაზე საუბარი მას ატკობდა. სასურველ საუბარში დრო მერად სწრაფად გაიპარა. დატრელები გვივირდა, მისი მგზნებარე თვალები კვლავ სასაუბროდ მიწვევდა... ერთის ნახვით მე ის მომეწონა: მაღალი, მხარბეჭიანი, სახეგაყვანილი, გაღიმებული სანდრო დროდადრო ხელს გადაისყვამდა შავ, ხუჭუჭ მთაზე და აღერისიანად მიმხერდა...“

მალე სანდრო ჩვენს ოჯახს გაეცნო. ხშირად დაიარებოდა ჩვენსა და საუბრის თემა ძირითადად კვლავ თეატრი იყო. ერთ დღეს ს. ახმეტელმა ჩემი დღიური გადამათვლიერა, მერე კალამი მომიპარვა და ჩაწერა რუსულად: „დღილით ვახვახვიანი გორაზე ბედმა აღმომიჩინა მე დაკარგული იდეალი — სიყვარული, რისკანაც გარაყვლი ვყავი. 1905 წ. 22 ივნისი, თელავი“. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და ჩვენ ერთმანეთს ფიცი მივეცით — ცხოვრებას უღელი ერთად გაგვეწია.“

თელავში ხმა დაირხა ს. ახმეტელი ტასო როსტომაშვილს ცოლად ირთავს...



საყვარულმა თავისი გაიტანა. ერთ დღეს, ალბათ სხვების გავლენით, ს. ახმეტელმა საცოლეს კატეგორიულად განუცხადა, ნებას არ მოგვემ მანუჩას როლი თამაშო.

ახმეტელის წინადადებამ ტასო გააკოცა.

— რად ამბობ მკვას, გენაცვალე, საშა, ვანა აქ რა არის დასაძრახი?

— გეუბნები და დამიჯერე, — მტკიცედ უთხრა სანდრომ.

ორ ცეცხლშუა ჩავარდა ტასო. მას არც საქმროს წყენა უნდოდა, არც როლს შეუპარულელობა. უნებრულოდინ გულისხმიერმა დამ ბაბომ გამოიყენა. მან განუცხადა ტასოს, — მოდი, დაიკო, პიეტრო დე ლა ვალეს როლი საშამ თამაშოს, ეგ ისეთი მოხდენილია, რომ ზედგამოქრილი პიეტრო იქნება. დემა დაითანხმეს ახეტელი. მართლაც, საშამ მალე შეისწავლა ტექსტი და მისი მონაწილეობით სპექტაკლის დამდგელმა ბაბო როსტომაშვილმა შეაქო სასიძო და გულახდილად უთხრა:

— ჩემო საშა, შენ თეატრისათვის ყოფილხარ დაბადებულნი.

ბაბოს ნათქვამზე სანდროს მხოლოდ გავლიმა და მორჩილი ბავშვივით თავი ჩაღუნა.

სანდრომ და ტასომ ჭვარი 1907 წელს დაიწერეს, ივანე როსტომაშვილის მრავალშვილიანმა ოჯახმა სანდრო მერვე შვილად მიიღო და ყო-

ველმბრავ ხელს უწყობდა ნაპეურ სიძეს ლო უმალესი განათლება და თავისი ცოდნით საყვარელ სამშობლოს გამოადგომოდა.

ინტერესების მრავალმხრივობით სანდრო თანატოლებისაგან განსხვავდებოდა. იგი ერთადროულად ავლენდა გატაცებას მუსიკით, ტექნიკური გამოგონებით, ლატერატურით, თეატრალური ხელოვნებით, პოლიტიკური ცხოვრებით.

ზაფხულის არდადეგების დროს ს. ახმეტელი ხალხაანად მონაწილეობდა დრამატულ წრეში, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს სპექტაკლების მოწყობაში.

სამწუხაროდ, „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ ს. ახმეტელის დაბადების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბრილო კრებულში აღნიშნულია, რომ „არდადეგებზე, თელავში ჩასვლისას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის მიერ დაარსებულ დრამატულ წრეში, აქ მას რამდენიმე წარმოდგენა დაუდგამს და უსინათლო მოხუცი გელას როლიც შეუსრულებია აკაყის „პატარა კახში“-ო. წერილის ავტორი ცდება, ს. ახმეტელს თელავში „პატარა კახ“ არასდროს დაუდგამს და არც გელას როლი უთამაშა.

ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში სანდრო ახმეტელმა, როგორც დიდმა რეჟისორმა, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

# ორი საღამო მოსკოვი

კობე ნინიაშვილი

## კობე მარჯანიშვილის ხსოვნის კაბინისათვის

12 მარტს სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალურ სახლში გამართა ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კობე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის საუბილეო საღამო. აქ თავი მოიყარეს საბჭოთა თეატრის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, კულტურის სხვადასხვა დარგის ცნობილმა წარმომადგენლებმა, კობე მარჯანიშვილის ხელოვნების თაყვანისმცემლებმა. სცენაზე არიან სსრკ სახ. არტისტები: მ. ცარიოვა, ე. გოგოლევა, ვ. მარტყკია, ი. ზავდსკი, მ. ყაროვი, ს. ვიაციანტოვა, ა. ზუევა, ნ. გრიცენკო, გ. ტოვსტონოვოვი, ბ. პეტკერი, ე. სიმონოვი, ლ. უტიოსოვი, ცნობილი მწერალი ი. ანდრონიკოვი და კრატკოსი პ. მარკოვი, კობე მარჯანიშვილის შვილი — აკადემიკოსი კონსტანტინე მარჯანიშვილი. საქართველოდან ჩასული დელეგაციის წევრები: სსრკ სახ. არტისტები: დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. თაქთაქიშვილი.

საუბილეო საღამო გახსნა სსრკ სახ. არტისტმა, მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობმა ელენე გოგოლევაძემ.

— კობე მარჯანიშვილის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ნიჭი ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი იყო — ამბობს ე. გოგოლევა — მან ხარკი გაუღო თაქთაქის ყველა მუხას იგბევრს ეძებდა, ხოლო რაც იპოვნა, გახდა მთელი საბჭოთა თეატრის სიმბოლო — დიდი ცხოვრებადელი ნიჭი, მშობლური ხალხის თავდადებული სამსახური. სწორედ ეს არის დიდი რეჟისორის კობე მარჯანიშვილის დამახასიათებელი. დღეს ჩვენ, მსახიობთა უფროს თაობას, გვესურს მოვიგონოთ, თქვენ კი, ახალგაზრდებს, გუაუბროთ საოცარ, შთაგონებულ დიდ ხელოვნებას. მწელია თეატრის ისტორიაში მოიძებნოს სხვა ისეთი რეჟისორი, რომელსაც ასე უყვარდა მსახიობი, ასე ეხმარებოდა ნიჭს გამოვლენაში...

კობე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შე-

შედეგების ირგვლივ მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ეთერ გუჯუშვილმა. მოხსენება დიდი ინტერესით მოისმინეს.

საღამოზე გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ: კონსტანტინე მარჯანიშვილი, დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, ე. გოძიაშვილი, ი. ანდრონიკოვი, ბ. პეტკერი, გ. ტოვსტონოვოვი, პროფესორი ნ. იოსებენკო. აღისა კონონენის მოგონება წაიკითხა რუსის დამსახ. არტისტმა ია სავინამ.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის თეატრებისა და საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა. წარმოდგენილი იქნა სცენები: სახმატრო თეატრის სპექტაკლიდან თ. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (რეჟ. ნ. თარხანოვი), მოსკოვის ცენტრალური მოხარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან ნ. დუმბაის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე), კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან — ე. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (მონაწილეობდნენ: ე. მახარაძე, ს. ჭიაურელი, მ. მახვლიაძე, ა. მეზაბლ-შვილი, ა. მ-ქაძე). ვასო გოძიაშვილმა წაიკითხა „რად მიყვარხარ“ (აკომპანიატორი — ე. გოძიაშვილი). მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ სახ. არტისტმა ლ. ჭყონიამ, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა: ლ. ისაკიძემ, თ. კაბარაშვილმა, საქართველოს სსრ სახ. არტისტმა ი. რუსინოვმა წაიკითხა კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ი. გრიშაშვილისა და ე. კალაის ლექსები. მღეროდა ვოკალური ანსამბლი „გორდლა“, რომელსაც აკომპანიმენტს უწევდა კომპ. თ. თაქთაქიშვილი.

კობე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი საღამო დიდ ზეიმად გადაიქცა და ერთხელ კიდევ ცხადყო გენიალური რეჟისორის სახელის უყვადვება. საღამო საქართველოს ტელევიზიის მუშაყებმა ფირზე აღბეჭდეს.

სცენის დიდოსტატმა მაცურებელი მოხიზლა

29 იანვარს მოსკოვში, ა. იაბლოჩკინას სახელობის სახლში გაიმართა სსრკ სახ. არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელიც სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირის მცირე თეატრის მსახიობმა, რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტმა ვ. ოზუხოვამ. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა, ტ. შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატმა დიმიტრი ალექსიძემ.

საღამო დაიწყო ვასო გოძიაშვილის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კინო-ფილმის ჩვენებით. შემდეგ წარმოდგენილი იქნა სცენა სპექტაკლიდან „დონ-კარლოსი“. მონაწილეობდნენ: ვასო გოძიაშვილი (ფილიპე II) და საქართველოს სსრ სახ. არტისტი კოტე მახარაძე (მარკიზ დე პოზა). მაცურებელი მქუხარე ტამით შეხვდა ფ. შილერის დრამის ამ ურთულესი სცენის მაღალ-ოსტატურ შესრულებას.

სიტყვა ეძლევა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ჟურნალ „ლიტერატურანაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორს გიორგი ციციშვილს, რომელიც დამსწრეთ ესაუბრა ვასო გოძიაშვილის შემოქმედებაზე.

სცენაზე კვლავ ვასო გოძიაშვილია. წარმოდგენილი იქნა აქვ. ცაგარლის ვოდევილი „ოინბაზი“. მონაწილეობდნენ: ვასო გოძიაშვილი, რესპ. დამსახ. არტის-

ტები ელენე ყიფშიძე და ვლადიმერ ცხვარიაშვილი, მსახიობი ნანა მამალაძე. მაცურებელთა დარბაზი ერთხელ კიდევ მოიხიზლა ვასო გოძიაშვილის განსაცდერებელი პლასტიური გამომსახველობით და ვოდევილის ჟანრისათვის შესატყვისა გროტესკული ხედვის სიმკვეთრით, იმპროვიზაციის, იუმორის და ფანტაზიის ზღვა მარაგით.

ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები კინო-ფილმებიდან „ქეთო და კოტე“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „დიდოსტატის მარჯვენა“.

საღამოს დასასრულს სცენა გაიგისო ყვავილებით. სცენაზე ავიდნენ მოსკოვის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრკ სახ. არტისტმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიხეილ ცაროვმა. ვასო გოძიაშვილს გულთბილ სიტყვით მიმართა ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ა. სოლოდოვნიკოვმა.

ვასო გოძიაშვილმა მაღლობა გადაუხალა დამსწრე საზოგადოებას და ბრწყინვალედ წაიკითხა „რად მიყვარხარ“? მას გვერდს უმშვენებდა რესპ. დამსახ. არტისტი ევგენია გოძიაშვილი, რომელიც ჩვეული ოსტატობით აკომპანიმენტს უწევდა ძველი თბილისის კოლორიტული წარსულის მეხოტბეს...

მაცურებელთა ფოეში მოწყობილი იყო ვასო გოძიაშვილის შემოქმედების ამსახველი ფოტო გამოფენა.

საქართველოს ტელევიზიის მუშაკებმა ფირზე აღბეჭდეს ეს დაუოწყარი საღამო.



## დიდი მსახიობის სოხხალი სახე

ნიკოლოზ აკვლიშვილი

თეატრალური საზოგადოებას აკავია ხორავას სახელობის მსახიობის სახელს ხალხი თანდათან ემატება და უჩვეულო საღამოს დაწყებას მოლოდინში დიდი დარბაზი ნელ-ნელა ივსება.

სცენას ამშვენებს დიდი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის პორტრეტი.

საღამოს ხსნის უხუცესი თეატრალური მიღწეა და ვით ჩხეიძე, რომელიც ალტაცებო ოგონებს ლადო მესხიშვილთან დაკავშირებულ დღეებს, ლადოს რეჟისორობითა და აქტიორულა შემოქმედებით შექმნილ სპექტაკლების დაუქვეყნა სცენებს და ლადოსადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის ეპიზოდებს.

ტრიბუნიდან ზარივით გაისმის ლადო მესხიშვილის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფის ცაცა ამარჯიბის ხმა, რომელიც ლადოს გახსენებით აღფრთოვანებული ენერგიულად ლაპარაკობს დიდი მსახიობის მოღვაწეობაზე.

დღეს ხალხი იხილავს ხანგრძლივად ძიებანა და ძუნის შემდეგ ახლად აღმოჩენილ იმ მხატვრულ სურათებს, რომლებშიაც ლადო მესხიშვილი მონაწილეობს. ეს ხომ ლადოს ცოცხლად ნახვას ნიშნავს! იხილო ის, ვისი სახელიც უკვე გენდაღ ქვეულა და ჩვენამდე ზღაპრად მოღწეულა!.. აი, რით იყო გამოწვეული ესოდენ დიდი ინტერესი.

დამთავრდა მოგონებები და სიტყვა მიეკა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით შექმნილი მხატვრული კინოსურათების აღმოჩენის, ხელოვნების მცოდნესა და იურისტს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გიორგი ხარტაშვილს.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს და ანალოზს უკეთებს რუსულ კანემატოგრაფიის საწყის პერიოდს და მისი შემდგომი განვითარების ისტორიას, თვით ლადო მესხიშვილია თეატრალურ და კინოაქტიორულ შემოქმედებას, მის დიდ ამავს ამ დარგში.

გიორგი ხარტაშვილი შეეხო ამ სურათების

მხატვრულ ღირსებას, ლადო მესხიშვილის არტისტულ ოსტატობასთან ერთად გაარჩია მის პარტნიორობა შემოქმედება.

მომხსენებლის გადმოცემით ლადო მესხიშვილს მონაწილეობა მოუღია ოცდახუთ სურათში, რომელთაგან სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ფილმად აღმოჩენილა.

დამთავრდა მოხსენება. შეუქი ჩაქრა და კერანზე გამოჩნდა დიდი მსახიობი, ლადოს გამოჩენას დარბაზი მქუხარე ტამით შეხვდა, ლადო ჩვენ წინაშე წარმოსდგა მთელი თავისი სიდიდით, ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი ლადო პროფესორ ბალზოცევეს თამაშობს სურათ „მურისძიების მამიებელ ღმერთში“.

რა კარგაა, რომ ლადო მესხიშვილი ამ ფილმში უგრაოდ და უბარჯოდ გამოდის, თითქოს განაგებ მოხდაო, რომ შთამომავლობას, ვინაც ლადო ცხოვრებაში არ უნახავს, შესაძლებლობა მიანიჭებოდან ამ ფილმით ეხილა თავისი ღირსეული წინაპარი ისეთი, როგორც იყო.

მეორე სურათში „სირცხელი ორლოვის სახლს“, ლადო მესხიშვილი გენერალს თამაშობს.

აღნიშნულ სურათებს მნიშვნელობა აქვია იმითაც, რომ გარდა ლადო მესხიშვილისა, მასში მონაწილეობენ მამინ ახადგაზრდა ცნობილი კინომოღვაწეები — ი. პერესტანია, ამო ბეჟაზაროვი და სხვ.

დასაანაა ერთი: ამ ფილმებში ლადო მესხიშვილი წარმოდგენილია სიცოცხლის უცნაურობის წლების პერიოდში, როდესაც უკვე მოტეხილი იყო. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით სამოცი წლის წინათ გადაღებული ეს ფილმები კარგად არის შენახული.

უხმო სურათი მუსიკალურად გააფორმა ცნობილმა ქორეოგრაფმა დ. მაკუაიანამ.

ვინაიდან აღნიშნული სურათები უნიკალურია, კარგი იქნება თუ მოხდება მათი გახილავნა.

# გზა შორს მიმავალი, არ დალეულა...

მამყვალა ცსომარიცა

საქართველოს სახალხო არტისტს გოგუცა კუპრაშვილს 15 აპრილს 65 წელი შეუსრულდა. დაუდევარი შემოქმედებითი ცხოვრება მოზარდ მაყურებელთა აღზრდის სამსახურში გაატარა და თავიდანვე სიყვარული და აღიარება მოიპოვა; ეს აღიარება განაპირობა მისმა დიდმა ისტატობამ, შთაგონებულმა, ნიჭიერმა თამაშმა.

საბავშვო თეატრის სცენაზე გოგუცა კუპრაშვილს ნათამაშები აქვს 100-ზე მეტი როლი, მათ შორის 5 ქალისა, 6 გოგონასი, დანარჩენი კი ბიჭებისა. ამ როლებიდან გამოირჩევიან ვახუშტი გ. ნახუცარიშვილს „ნაცარქექიაში“, ძიმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“, მიხოა ს. მთვარაძის „სურამის ციხეში“ და მრავალი სხვა, რომლის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ენერგიულ-ტრავესტას ამჟღის პირველი ქართველი პროფესიონალი მახაოზი ყოველთვის დადებით როლს ასახიერებდა. მაგრამ თავისი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული რეალისტური ხელოვნებით ნორჩებს ასწავლავდა ცხოვრებაში ქვეყნს წყაბას.

მისი გმირები ცხოვრებას ებრძოდა, რეალური სინამდვილიდან აღებული გმირები იყვნენ და სწორედ ამიტომ ისეთი ხორცისაყვანა გამოდგენ, რომ წლების მანძილზე თანამგზავრობას გვიწოდებდნენ. მათ დიდი როლი ითამაშეს ჩვენი აზროვნების ჩამოყალიბებაში, ჩვენი მოქალაქეობრიობის დადგენაში.

მართალია, გოგუცა კუპრაშვილს მოზარდთა თეატრი გატაცებითა და ნამდვილი სიყვარულით უყვარდა. მაგრამ სცენა ისეთ დროს მიატოვა, რომ არ ამოაწერა თავისი შესაძლებლობანი სწორედ ამიტომ დარჩა ჩვენთვის დაუბერებელი ახალგაზრდა. იგი ყველასათვის ნაცნობი და ახლობელია და ვინაც სცენაზე უნახავს, კარგად იცის მისი შესაძლებლობისა და ნიჭის საზღვრები.

დრომ დაგვანახავა, რომ დღეა აკაკიმ თავიდანვე იგრძნო პატარა გოგუცას ნიჭი, ყურნალ „ნაკადულს“ მესვეურებმავე პატარას გზა დაულოცეს, ხოლო უფრო მოგვიანებით დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ყურადღება მიამქცია მორჩილი ტანის, ვერცხლისწყალივით მოძრავ გოგონას და მეორე ყურსის სტუდენტო რუსთაველის თეატრში მიიწვია პანტიმიმა „მზეთამზეში“ მთავარი როლს შესასრულებლად.

ნათლობა ბედნიერი აღმოჩნდა, ამის მეორე გოგუცამ ისეთი ალო გატანა, რომ საბავშვო თეატრების ისტორია წარმოუდგენელია მისი სახელის გარეშე — ოცდაათი წელი გაატარა მისა და მთვარას ნახატი კონსტრუქტების ქვეშ, ბევრი სიხარული და მწუხარება იცემა, ბევრი მოზარდის სული ასაზრდოვდა. ამ-ტომ მოხდა, რომ დაბადების 65 წლისთავზე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და მისმა მაყურებელმა ღვაწლმოსილ მახაოზს შემოქმედებით-სალამო გაუმართეს. 15 აპრილს მისმა თავიანთ-მცემლებმა შეაღეს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის კარი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგუცა კუპრაშვილი ამჯერად უნიღბოდ იხილეს სცენაზე. თეატრის დარბაზი ვერ იტყუდა მისი ნიჭის თავისიმეცემებს.

საზეიმო საღამო გახსნა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორმა ვახტანგ ლოლაძემ.

გ. კუპრაშვილს ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების უფროსმა, თეატრმკოდნე ვასილ კაციაძემ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს გოგუცა კუპრაშვილს მუსკალმენ და კეთილი სურვილები გადასცეს საქართველოს თეატრალურ საზოგადოების სახელით ხელოვნების დამსაჯურებელმა მოღვაწემ დავით ჩხვიძემ, რუსთაველის სახელობის მუსიკალური კომპოზიტორის, ლენინური კომპოზიციის რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრის და თოჯინების თეატრის მახაოზებმა, ქალაქის კულტურული დაწესებულებების ხელმძღვანელებმა. კირტიკოსებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, პედაგოგებმა, პოეტიკთა, სასაქლო და თბილისის სკოლების აღსაზრდებლებმა პონინომეშაია რესპუბლიკური სკოლის მემკვიდრეებმა, კულტურის სახლების თანამშრომლებმა, მაყურებელმა.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ნათელა იანიჭვილიმა მახაოზს საჩუქრად გადასცა მხატვრული ტოლი. შემოქმედებითი საღამო ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ახლაც შემოქმედებითი ენერგიითაა აღსავსე. ენერჯით, რომ კვლავაც შემოქმედებითი შრომის სურვილით აკავებს.

# მდიდრება თეატრული მუხამის ფონდები

ლელი კაბანაძე

საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მუხუმის ფონდებში დიდძალი მასალა დაცული ქართული თეატრის შესახებ. მუხუმში სისტემატურად აწარმოებს ფონდების შევსებას. გროვდება მასალა საქართველოს თეატრების მიმდინარე მუშაობის შესახებ. დიდი ყურადღება ექცევა თეატრის მოღვაწეთა პირად არქივების მოპოვებას და შესყიდვას.

სათეატრო მუხუმის თანამშრომლები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა აღმოაჩინონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საცავებში დაცული დოკუმენტები, რომელნიც ნათელს ფენენ ქართული თეატრის რომელიმე მოღვაწის საქმიანობას. ქართული თეატრის წარმომადგენლებს ყოველთვის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ერის მოღვაწეებთან, განსაკუთრებით რუსული თეატრის მოღვაწეებთან. თავის მხრივ რუსული თეატრის მოღვაწეებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული თეატრის საქმიანობაში, სიყვარულით ინახავდნენ ქართული თეატრის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს, პირად მიმოწერას.

მოსკოვის ა. ბახრუშანის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ მუხუმში დაცულ მასალაში შორის აღმოჩნდა გ. ერისთავის ხელმძღვანელობით 1850 წ. 2 თანვარს წარმოდგენილი სპექტაკლის „გაყრის“ აფიშა, რომელიც საქართველოში არ არის შემონახული. როგორც ცნობილია, ხსენებული სპექტაკლის მთავარ პერსონაჟთა ჩანახატები დიდი ოსტატობით შეასრულა მხატვარმა გ. კორაძინიმ, წარმოშობით იტალიელმა, რომლის შესახებაც ისტორიამ ძუნწი ბიოგრაფიული ცნობები შემოგვინახა. იგი თბილისის გიმნაზიაში მუშაობდა ხატვის ამისწავლელად, შემდეგ კი სამხედრო პაჩი იყო — ოფიცერი. ამის შესახებაც ცნობებს იძლევა „ნიევეგოროდის დრავუნთა პოლკის ისტორია“, იქვეა გამოქვეყნებული მრავალი მისი ჩანახატი, პეიზაჟები. ამიტომ საინტერესოა მისი წერილები, რომელიც ლენინის სახელობის სახარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ვორონოვეთა არქივში აღმოჩნდა.

ლენინგრადის ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი იქნა თბილისის თეატრალური ცხოვრების ამსახველი მრავალი დოკუმენტი.

ლენინგრადის არქივში მიკვლევულ მასალაში

შორის დიდ ინტერესს იწვევს მიმოწერა კავკასიის კომპეტესა და პეტერბურგის შესამე განყოფილებას შორის 1856 წელს „საიმპერატორო თეატრის მსახიობის ი. იაბლოკონის წერილი თბილისის რუსული თეატრის შესახებ 1866 წ. თბილისის რუსული თეატრის მოღვაწეთა მიმოწერა კავკასიის მეფის ნაყვალთან 1866-1867 წლებში; დოკუმენტები თბილისის მუსიკალური სასწავლებლის შესახებ 1885-1886 წლებში და ა. შ.

მხატვარ გ. კორაძინის წერილების გარდა, მრავალი სხვა საინტერესო მასალა აღმოჩნდა დაცული ლენინის სახელობის სახარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის შემსწავლელთათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ო. ტაღლიკოვის „მშენებელი სოლენსი“ (იბუნის პუბის დადგმის გამო ყოფ. კორჟის თეატრში. 1931 წ.), ო. ტაღლიკოვის ვრცელ წერილში ნათლად სჩანს თეატრის პოზიცია, შემოქმედებითი კულტურის დამოკიდებულება პ. იბუნის ნაწარმოებისადმი. ს. ყარა-მურზას მოგონება კ. მარჯანიშვილზე.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით მრავალი დოკუმენტი იქნა მიკვლევული სსრკ ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულ თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეთა პირად ფონდებში. მავალითად: კ. მარჯანიშვილის წერილები ა. არაპოვის, ვს. აქსიონოვისა და ს. გარსიანისადმი; მხატვარ ა. არაპოვის ესკიზები „ღონ კარლოსი“-ს დადგმისათვის მოსკოვის მცირე თეატრში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფოტოკუბი სცენების კ. მარჯანიშვილის დადგმიდან „ცრემლები“, რომელიც პიესის ავტორის ალ. ვოზნესენის პირად არქივშია დაცული.

